პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 12 ნოემბერი, 1942 წ. № 268 (6584). ფასი 15 კაპ.

## საბჭოთა ხალხისა და მისი წითელი არმიის დიდი გმირობა

[illegible]

...ნების წყვდიადში დაებრუნებინათ მსოფლიო.

წითელ არმიას თავის მხრებზე გადააქვს მთელი სიმძიმე ომისა ჰიტლერული გერმანიისა და მისი თანამონაწილეების წინააღმდეგ. თუ დავაკვირდებით ახლანდელი ომის განვითარებას, რომელიც გაჩაღებულია პირსისხლიანი ჰიტლერის მიერ, მაშინ სავსებით გარკვევით დავინახავთ მის განვითარებაში მომხდარ გარდატეხას საბჭოთა კავშირზე ჰიტლერის ურდოების თავდასხმის მომენტიდან. სწორედ ამ მომენტიდან ომს ეძლევა სულ სხვანაირი გაქანება, სულ სხვანაირი მასშტაბები, რომლებიც სრულიადაც არ შეიძლება შევადაროთ ომის პირველ ეტაპს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოიყვანა ჰიტლერმა მთელი თავისი მთავარი ძალები, გერმანული ფაშისტური ავაზაკური იმპერიალიზმის მთელი სამხედრო მანქანა.

მართლაც: დაიწყო რა პოლონეთთან საომარი მოქმედება, ჰიტლერმა ფრონტზე გამოიყვანა 40-დან 45-მდე დივიზია. როცა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაიწყო საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში, ჰიტლერმა აგრეთვე მთელი თავისი სამხედრო მანქანა როდი აამუშავა. საფრანგეთის წინააღმდეგ შეტევაში, რომელიც ყველაზე უფრო დიდი სამხედრო ოპერაცია იყო დასავლეთში, ამ ომის უკანასკნელ ეტაპზე მონაწილეობას იღებდა არა უმეტეს 100 დივიზიისა. 40 დივიზია ჰიტლერს რეზერვად ჰყავდა, დანარჩენი მისი ჯარები ზოგი საგარნიზონო სამსახურს ეწეოდა, ხოლო ძირითადად თავმოყრილი იყვნენ გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჰიტლერს მუდამ ჰყავდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის საზღვარზე მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები. ჰიტლერი დასავლეთში ომობდა ისე, თითქოს „მეორე ფრონტი“ არსებობდა აღმოსავლეთში, რომელიც ჰბორკავდა გერმანელთა სულ მცირე 80-მდე დივიზიას.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს საომარი მდგომარეობა საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული ჯარების ვერაგული თავდასხმის შემდეგ. მეორე ფრონტი დასავლეთში არ იყო, საფრანგეთი განადგურებული იყო. ჰიტლერმა სსრ კავშირის წინააღმდეგ გამოიყვანა უკვე წინასწარ საბჭოთა საზღვართან მიახლოვებული და სრულიად მზადმყოფი 170 დივიზია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ მომენტისათვის გერმანელთა ჯარები სავსებით მობილიზებული იყვნენ, მათ ჰქონდათ მნიშვნელოვანი საბრძოლო გამოცდილება, მაშინ როცა საბჭოთა ჯარები ჯერ კიდევ უნდა მობილიზებული ყოფილიყვნენ და საზღვარს მიახლოვებოდნენ. ამასთან წითელ არმიას ჯერ კიდევ არა ჰქონდა ის გამოცდილება, რაც ახლა მოიპოვება.

საბჭოთა ხალხი შეუდრეკლად შეხვდა გერმანელ ფაშისტთა საომარი მანქანის გაცოფებულ შემოტევას. გმირმა წითელმა არმიამ შესძლო უკან დახევის პირველ პერიოდშიც სერიოზული დარტყმები ეგემებინა გერმანელ ფაშისტ ყაჩაღებისათვის. მტერი გაафთრებით მოისწრაფვოდა მოსკოვისაკენ და ვარაუდობდა 1941 წლის ზამთრამდე გამარჯვებით დაემთავრებინა ლაშქრობა სსრ კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ ვერ მიართვეს! წითელმა არმიამ დიდი სტალინის წინამძღოლობით არა მარტო შეაჩერა მტერი, არამედ მთელი რიგი გამანადგურებელი დარტყმებიც აგემა მას. წითელმა არმიამ მოიგერია გერმანელთა ეს იერიში მოსკოვზე, ხელთ იგდო ინიციატივა და შეტევაზე გადავიდა, გარეკა გერმანელთა ჯარები და ოთხი თვის განმავლობაში ზოგან 400-ზე მეტი კილომეტრი გაიარა.

წითელმა არმიამ არა მარტო გააქარწყლა მითი გერმანელთა არმიის უძლეველობის შესახებ,—მან ჩაშალა ჰიტლერის გეგმები, ჩაფუშა ყველა მისი ვარაუდი და კატასტროფის საფრთხის წინაშე დააყენა გერმანელთა არმია. „არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გერმანელთა ჯარები, რომლებმაც ტრიუმფალური მარშით გაიარეს მთელი ევროპა და ერთი დაკვრით შემუსრეს ფრანგთა ჯარები, რომლებიც პირველხარისხოვან ჯარებად ითვლებოდნენ, მარტო ჩვენს ქვეყანაში შეხვდნენ ნამდვილ სამხედრო წინააღმდეგობას, და არა მარტო წინააღმდეგობას, არამედ იძულებული გახდნენ წითელი არმიის დარტყმებით უკან დაეხიათ დაკავებული პოზიციებიდან 400-ზე მეტი კილომეტრით და უკანდახევის გზაზე მიეტოვებინათ ქვემეხების, მანქანების, საომარი მასალების კოლოსალური რაოდენობა. მხოლოდ ზამთრის

[illegible] მცირე 179 დივიზია, რუმინელთა 22 დივიზია, ფინელთა 14 დივიზია, იტალიელთა 10 დივიზია, უნგრელთა 13 დივიზია, სლოვაკთა ერთი დივიზია და ესპანელთა ერთი დივიზია, ესე-იგი სულ 240 დივიზია. გერმანელთა და მათ მოკავშირეთა დანარჩენი ძალები ეწევიან საგარნიზონო სამსახურს ოკუპირებულ ქვეყნებში, ნაწილი დაბანდებულია ლიბიის ფრონტზე, სადაც სულ გერმანელთა 4 და იტალიელთა 11 დივიზიაა.

ეს ციფრები მთელი დამაჯერებლობით მოწმობენ გერმანელთა შემოსევის გაქანებასა და ოდენობას, რაც არავითარი მხრით არ შეიძლება შეედაროს არც ნაპოლეონის შემოსევას და არც გერმანელთა შემოსევას რუსეთში პირველი მსოფლიო ომის დროს. მართლაც, 600 ათასი ჯარისკაციდან, რომლებიც რუსეთზე ლაშქრობაში მოდიოდნენ, ნაპოლეონმა ბოროდინომდე ძლივს მოიყვანა 130-140 ათასი, მაშინ როცა ამჟამად წითელი არმიის ფრონტის წინ დგას ჰიტლერული გერმანიისა და მისი მოკავშირეების სამ მილიონზე მეტი ჯარი. პირველ მსოფლიო ომში გერმანიას მის განკარგულებაში მაშინ მყოფ 220 დივიზიიდან რუსეთის ფრონტზე ჰყავდა არა უმეტეს 85 დივიზიისა. თუ ამას დავუმატებთ ავსტრია-უნგრეთის 37 დივიზიას, ბულგარეთის 2 დივიზიას და თურქეთის 3 დივიზიას, მაშინ ფრონტზე რუსეთის ჯარების წინააღმდეგ სულ 127 დივიზია იდგა. ეს იმით აიხსნება, რომ პირველ მსოფლიო ომში გერმანიას მოუხდა ორ ფრონტზე ბრძოლა და მისი მთავარი ძალები დასავლეთში იმყოფებოდნენ.

არაჩვეულებრივი სიძნელენი, რომელნიც წითელი არმიის წინაშე აღიმართნენ, წარმოდგენას გვაძლევენ იმ გმირობის სიდიადეზე, რასაც საბჭოთა მეომრები და ჩვენი ხალხი იჩენენ განმათავისუფლებელ ომში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. მიუხედავად ყველა სიძნელისა, მიუხედავად გაღებული მსხვერპლისა, საბჭოთა ხალხი და მისი წითელი არმია, ფრონტი და ზურგი, რომლებიც ერთ საბრძოლო ბანაკად შეერთდნენ, ღირსეულად გამოვიდნენ ამ მდგომარეობიდან, გადაიტანეს ახალი განსაცდელი 1942 წლის ზაფხულში, შესძლეს კვლავ დაეცალათ სისხლისაგან მტერი, მიაყენეს რა მას სისხლისმღვრელი ზარალი, ჩაფუშეს გენერალური სტრატეგიული გეგმა მისი ზაფხულ-შემოდგომის შემოტევისა, რომელიც მტერმა დაიწყო მის მიერ შექმნილ ძალთა სიჭარბის საფუძველზე, რაც შესაძლებელი გახდა ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობის გამო.

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში მაღალი შეფასება მისცა წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის გმირობას, როცა სთქვა: „მე ვფიქრობ, რომ ვერც ერთი სხვა ქვეყანა და ვერც ერთი სხვა არმია ვერ შესძლებდა გაეძლო გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა და მათ მოკავშირეთა გამხეცებული ბანდების ასეთ შემოტევისათვის. მარტო ჩვენს საბჭოთა ქვეყანას, და მარტო ჩვენს წითელ არმიას შეუძლიათ გაუძლონ ასეთ შემოტევას. და არა მარტო გაუძლონ, არამედ კიდეც დასძლიონ იგი“.

საბჭოთა ქვეყანამ ჩააბარა ომის მკაცრი გამოცდა. საბჭოთა ქვეყნის ზურგი ისე მაგარია, როგორც არასოდეს არა ყოფილა, ჩვენი წითელი არმია ისე მძლავრია, როგორც არასოდეს არა ყოფილა, მან დააგროვა უდიდესი საბრძოლო გამოცდილება, ისწავლა მტრის უეჭველი განადგურება, მისი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მოსპობა, მისი ვერაგული ზრახვების ჩაფუშვა. საბჭოთა წყობილებამ დაგვანახვა, რომ იგი ყველაზე უფრო მტკიცე წყობილებაა მსოფლიოში.

საბჭოთა ხალხმა ღირსეულად გადაიტანა მძიმე განსაცდელი, რომელიც მას წილად ხვდა. საბჭოთა ხალხი მუდამ მტკიცედ იყო დარწმუნებული თავისი სამართლიანი საქმის გამარჯვებაში. ამხანაგ სტალინის ისტორიული გამოსვლებით აღფრთოვანებული, საბჭოთა ხალხი აღსავსეა კიდევ უფრო ურყევი რწმენით გამარჯვებისადმი. საბჭოთა ადამიანები ახალი ძალებით, ახალი ენერგიით განაგრძობენ ბრძოლას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის. თავისი გმირობით, რომელიც მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა აღტაცებას იწვევს, თავიანთი თავდადებული ბრძოლით საბჭოთა ხალხი და მისი წითელი არმია მოვალეობის მაღალღირსეულად შესრულების ბრწყინვალე მაგალითს აძლევენ ყველა მებრძოლს ჰიტლერული ავაზაკური იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

**„პრავდის“ მოწინავე, 11/XI.**

## ამხანაგ სტალინის მოხსენება ქართულ ენაზე

სახელგამის პოლიტლიტერატურის სექტორმა გამოსცა ცალკე ბროშურად „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავი“ (თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის — ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე). ბროშურაში დაბეჭდილია აგრეთვე თავდაცვის სახალხო კომისრის 1942 წლის 7 ნოემბრის ბრძანება № 345.

ბროშურა იყიდება სახელგამის წიგნის მაღაზიებსა და კიოსკებში. ბროშურის ფასი 15 კაპ.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 11 ნოემბრის დილის ცნობა

**10 ნოემბრის** ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში, **ტუაფსეს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და **ნალჩიკის** სამხრეთ-აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები თავიანთ პოზიციებს ამაგრებდნენ და დაზვერვას ეწეოდნენ. ნ ნაწილის მებრძოლები თავს დაესხნენ მტრის განლაგებას და დახოცეს 70 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს მტრის ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი და ორი ავტომანქანა. სხვა უბანზე გერმანელთა ერთი ასეული ქვეითი ჯარი ცდილობდა მოახლოებოდა ჩვენი თავდაცვის წინა კიდეს. მტერმა ბრძოლის შედეგად ორ ოცეულამდე ქვეითი ჯარისკაცი დაჰკარგა და პირვანდელს პოზიციებზე დაიხია.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ცეცხლით ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან. ნ ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს მიწაში ჩაფლული გერმანელთა სამი ტანკი, ჩაახშეს ორი საარტილერიო და 4 სანაღმმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. სხვა უბანზე ჩვენი არტილერიის ცეცხლით აფეთქებულია მტრის დიდი საწყობი საომარ მასალიანად.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნ შენაერთის ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების წინააღმდეგ. გაафთრებული ბრძოლების შედეგად, რომლებიც გუშინ მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა, გაწყვეტილია 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა ნაწილებმა დააზიანეს მტრის 12 ტანკი და დასწვეს 9 ტანკი. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 7 ვარგისი ტანკი, 2 ჯავშანმანქანა, 3 ქვემეხი, ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი და შტაბის ავტომანქანა.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელთა ერთმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა იერიში მიიტანა ნ ნაწილის პოზიციებზე. გერმანელთა ცალკეულმა ჯგუფებმა მოახერხეს სოლივით შემოჭრილიყვნენ ჩვენს თავდაცვაში. გაафთრებული ბრძოლის შედეგად საბჭოთა მებრძოლებმა გასწყვიტეს მტრის შემოჭრილი ჯგუფები.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ქვეითი ჯარის იარაღისა და არტილერიის ცეცხლით გაწყვეტილია 350-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დანგრეულია 23 ბლინდაჟი და გაფანტულია მტრის მზვერავთა რამდენიმე მცირე ჯგუფი. ჩვენი საზენიტო არტილერიის მიერ ჩამოგდებულია გერმანელთა 5 თვითმფრინავი.

* * *

კალინინის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდა გერმანელთა სადამსჯელო ექსპედიციის წინააღმდეგ. ჰიტლერელები ცდილობდნენ გარს შემორტყმოდნენ პარტიზანებს. მოხერხებული მანევრით პარტიზანები გარშემორტყმიდან გამოვიდნენ და ზურგიდან დაესხნენ თავს გერმანელებს. გაафთრებულ შეტაკებაში დახოცილია 80 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. კალინინის პარტიზანების მეორე რაზმი მდინარის დაცულ ხიდთან მიიპარა. პარტიზანებმა დახოცეს გერმანელი მცველები, ააფეთქეს ხიდი და მოსპეს სატელეფონო ხაზი რამდენიმე კილომეტრზე.

* * *

ჰიტლერელები აბუჩად იგდებენ მათ მიერ ოკუპირებული საბჭოთა რაიონების მოსახლეობას. რათა დაამცირონ საბჭოთა ადამიანების ნაციონალური და ადამიანური ღირსება, გერმანელი ფაშისტი არამზადები აიძულებენ მათ სპეციალური დანომრილი ფირფიტები ატარონ. ამას წინათ ხელში ჩაგვივარდა გერმანელთა 161-ე ქვეითი დივიზიის სარდლობის ბრძანება № მე-4 ზურგის უფროსისადმი. ქვემოთ მოგვყავს ამონაწერი ამ ბრძანებიდან: „რუს სამოქალაქო მოსახლეობის აღსანიშნავად ყოველმა სამოქალაქო პირმა 12 წლის ასაკის ზევით უნდა ატაროს ხის ფირფიტა. ამ ფირფიტაზე დაწერილი უნდა იყოს: დასახლებული პუნქტის სახელი, რომლის მცხოვრებთა სიაშიც ხსენებული პირი ითვლება; რიგითი ნომერი, რომლითაც სამოქალაქო პირი სიაში ირიცხება“. ამავე დივიზიის შტაბის განსაკუთრებულ განკარგულებაში ნათქვამია: „აღნიშნულია, რომ მოსახლეობა, განსაკუთრებით ქალები, არ ატარებს შემოღებულ ფირფიტებს, თავისი ნომრისა და საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით. ბრძანების დამრღვევნი უნდა დაისაჯონ გაწკეპლით და დაპატიმრებით“.

* * *

ვალონის რაიონში (ალბანეთი) ალბანელმა პატრიოტებმა დახოცეს იტალიელი ჯარისკაცები, რომლებიც ფურაჟის საწყობს იცავდნენ, და დასწვეს თივის დიდი მარაგი. ამ დღეებში პარტიზანებმა ლიბრაშტის რაიონში იტალიელი ჯარისკაცების ყაზარმაში რამდენიმე გრანატი ისროლეს, მოკლულია 28 ოკუპანტი.

### 11 ნოემბრის საღამოს ცნობა

11 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში, **ტუაფსეს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და **ნალჩიკის** სამხრეთ-აღმოსავლეთით. დანარჩენ ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

10 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის მიერ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოსპობილია მტრის 30-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, დამტვრეულია 2 სარკინიგზო შემადგენლობა, ჩახშობილია 4 საარტილერიო ბატარეისა და 14 ნაღმსატყორცნის ცეცხლი.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე იერიში და გასწყვიტეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. არტილერისტებისა და ნაღმმტყორცნელების ცეცხლით თავდასხმებით მოსპობილია მტრის 4 ქვემეხი, 17 ნაღმსატყორცნი, 23 ტყვიამფრქვევი, დანგრეულია 11 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. ჩამოგდებულია გერმანელთა 5 თვითმფრინავი. სტალინგრადის დამცველთა შორის ფართოვდება სნაიპერული მოძრაობა. უფროსმა სერჟანტმა ამხ. ტუსუპოვმა უკანასკნელ დღეებში 18 გერმანელი დახოცა, წითელარმიელმა ამხ. უვალიევმა 10 ჰიტლერელი გასწყვიტა.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ქვეგანაყოფებმა ამხ. მერკულოვის მეთაურობით იერიში მიიტანეს მტერზე და დაიკავეს ერთი დასახლებული პუნქტის გარეუბანი. ამ ბრძოლაში მოსპობილია 2 ასეულამდე ჰიტლერელი, წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები. გარდა ამისა, წითელი არმიის მხარეზე ნებაყოფლობით გადმოვიდა გერმანელ ჯარისკაცთა ერთ ოცეულზე მეტი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ. ტანკისტებმა ამხ. პეტუშკოვის მეთაურობით მტერთან სასტიკ ბრძოლაში მოსპეს გერმანელთა 3 ტანკი, 4 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების ბატარეა, 3 ნაღმსატყორცნი ბატარეა, 6 ჯავშანტრანსპორტი ქვეითი ჯარიანად, 5 მსუბუქი მანქანა და ერთ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა ორი იერიში და მოსპეს 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. 8 ტყვიამფრქვევი, ქვემეხი და 2 ნაღმსატყორცნი.

შავი ზღვის ფლოტის მფრინავები თავს დაესხნენ მტრის აეროდრომს. საბჭოთა ბომბდამშენებმა 5-6-ჯერ შემოუარეს სამიზნეს. შემდეგ გამოჩნდნენ მოიერიშეები, რომლებმაც დაარტყეს მტრის საპროჟექტორო და საზენიტო დანადგარებს. ამის შემდეგ სატრანსპორტო თვითმფრინავებმა მცირე სიმაღლიდან პარაშუტისტები ჩაუშვეს. ძირდაშვების შემდეგ ჩვენმა მედესანტეებმა ცეცხლი წაუკიდეს აეროდრომზე მყოფ თვითმფრინავებს და მიიმალნენ. ამ ოპერაციის შედეგად სულ დამწვარია გერმანელთა 13 და სერიოზულად დაზიანებულია 10 თვითმფრინავი. ჩვენი მედესანტეები ფრონტის ხაზზე გადმოვიდნენ და საბჭოთა ჯარების განლაგებაში მოვიდნენ.

* * *

კურსკელ პარტიზანთა ორმა რაზმმა გასწყვიტა გერმანელთა სარკინიგზო დაცვის 96 ჯარისკაცი და 6 კილომეტრზე დაანგრია რკინიგზის ლიანდაგი. ამ ოპერაციის წარმატებას ხელი შეუწყო გერმანიის არმიის ჩეხმა ჯარისკაცმა, რომელსაც კავშირი ჰქონდა პარტიზანებთან. ამჟამად ეს ჯარისკაცი პარტიზანულ რაზმში იმყოფება და აქტიურად იბრძვის გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

* * *

ბელგრადის რადიოსადგურმა რომელიც, როგორც ცნობილია, ჰიტლერელების სრულ განკარგულებაში იმყოფება, უნგრულ ენაზე გადასცა ცნობა იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირში „პურის ნორმა შემცირებულია 80 გრამამდე დღეში“. საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ ერთხელ კიდევ უარჰყო ვენის რადიოს ამდენადვე ყალბი ცნობა. ამა წლის 17 ივლისს საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყებოდა, რომ მოსკოვის ერთი მცხოვრები უფრო მეტ პურს იღებს, ვიდრე ბერლინის ერთი მცხოვრები, რომის ერთი მცხოვრები და ვენის ერთი მცხოვრები, ერთად აღებულნი. მას შემდეგ პურის გაცემის ნორმა როგორც მოსკოვში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც ერთხელაც არ შემცირებულა და უცვლელი დარჩა. დღეს შეიძლება ამას დავუმატოთ, რომ საბჭოთა მოქალაქეები სამჯერ, ოთხჯერ და ხუთჯერ მეტ პურს იღებენ, ვიდრე უნგრეთის მოსახლეობა. გერმანელებმა გაძარცვეს უნგრეთი, ამ ქვეყნიდან გაიტანეს სურსათის მთელი მარაგი და მისი მოსახლეობა საშიმშილოდ გასწირეს. ჰიტლერელებმა გაძარცვეს უნგრელები და სანუგეშოდ მათ აწვდიან სხვადასხვა ჭორებს სსრ კავშირში სასურსათო ნორმების შემცირების შესახებ. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ დამშეულ უნგრელთა მდგომარეობა ამით არ შემსუბუქდება.

## წითელი არმიის უმაღლესი უფროსმეთაურობისათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ

### სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიენიჭოს წითელი არმიის უმაღლესი უფროსმეთაურობის ქვემოჩამოთვლილ პირებს სამხედრო წოდებანი, რაც დაწესებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით:

**გენერალ-ლეიტენანტის წოდება**

ივანე ტერენტის-ძე **კოროვნიკოვს**
ფილიპე ნიკანორის-ძე **სტაროკოვს**
ალექსანდრე ვასილის-ძე **სოხომლინს.**

**გენერალ-მაიორის წოდება**

დიმიტრი ლევის-ძე **აბაკუმოვს**
მიხეილ ვასილის-ძე **ალიმოვს**
ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე **აფანასიევს**
პავლე დიმიტრის-ძე **დმიტრიევს**
სტეფანე ივანეს-ძე **დუდკოს**
ვლადიმერ პავლეს-ძე **ზიუვანოვს**
ალექსანდრე გრიგოლის-ძე **კაპიტოხინს**
ათანასე რომანის-ძე **კოპიჩკოს**
ივანე კონდრატეს-ძე **კრავცოვს**
გიორგი ივანეს-ძე **ყუფარაძეს**
ნიკოლოზ მათეს-ძე **მაკოვჩუკს**
ალექსანდრე იაკობის-ძე **მახანკოვს**
ვიტოლდ ალექსანდრეს-ძე **მოჩოლევსკის**
იოსებ ნიკოლოზის-ძე **პანკრატოვს**
ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **პანოვს**
ივანე ივანეს-ძე **პიაშევს**
ივანე მიხეილის-ძე **პლატოვს**
სერაფიმ ევგენის-ძე **როჟდესტვენსკის**
ივანე ანდრიას-ძე **რუბანიუკს**
ალექსი ივანეს-ძე **სემიონოვს**
ვლადიმერ იაკობის-ძე **სემიონოვს**
ადამ პეტრეს-ძე **ტურჩინსკის**
მინგალეი მინაზის-ძე **შაიმურატოვს**
ანტონ ივანეს-ძე **იაკიმოვიჩს**
ნიკოლოზ პეტრეს-ძე **იაკუნინს.**

**ავიაციის გენერალ-მაიორის წოდება**

ვლადიმერ ივანეს-ძე **ალადინსკის**
ნიკოლოზ ვასილის-ძე **ვორონოვს**
ნიკოლოზ პავლეს-ძე **დაგაევს**
კუზმა დიმიტრის-ძე **დმიტრიევს**
ევგენი ექვთიმეს-ძე **ერლიკინს**
ათანასე ზინობის-ძე **კარავაცკის**
დიმიტრი სტეფანეს-ძე **კოზლოვს**
ვასილ პეტრეს-ძე **კოტროვს**
სერაფიმ ალექსანდრეს-ძე **პესტოვს**
დიმიტრი დიმიტრის-ძე **პოპოვს**
სიდორ ვასილის-ძე **სლიუსარევს.**

**არტილერიის გენერალ-მაიორის წოდება**

სიმონ ალექსის-ძე **ბობკოვს**
პეტრე ემელიანეს-ძე **ვასიუკოვს**
ანატოლი ნიკოლოზის-ძე **გორიანინს**
სერგი სილის-ძე **გულევიჩს**
ნიკოლოზ მიხეილის-ძე **კონოპლიოვს**
ლევ ვიქტორის-ძე **ნეჩაევს**
ვასილ პროხორეს-ძე **სტეხნიაგინს**
ვლადისლავ დიმიტრის-ძე **ჩუდინს.**

**სატანკო ჯარების გენერალ-მაიორის წოდება**

თევდორე გიორგის-ძე **ანიკუშკინს**
დიმიტრი დიმიტრის-ძე **ბახმეტიევს**
სერგი პეტრეს-ძე **ვარმაშკინს**
სერგი ივანეს-ძე **დენისოვს**
ალექსანდრე ვასილის-ძე **კუკუშკინს**
ნიკოლოზ მარკოზის-ძე **მარტინოვს**
ალექსანდრე იაკობის-ძე **ნეცვეტაილოს**
პავლე პავლეს-ძე **პოლუბოიაროვს**
მიხეილ პავლეს-ძე **საფირს**
მაქსიმ დენისის-ძე **სინენკოს.**

**საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორის წოდება**

ბორის ალექსანდრეს-ძე **ოლივეცკის**
გიორგი პეტრეს-ძე **ჩისტიაკოვს**
ვლადიმერ პეტრეს-ძე **შურიგინს.**

**ტექნიკური ჯარების გენერალ-მაიორის წოდება**

ნიკოლოზ გიორგის-ძე **დესიატკინს**
ილია სვიმონის-ძე **კარტენევს**
ალექსი ნიკოლოზის-ძე **მაქსიმენკოს**
მათე ანდრიას-ძე **მაქსიმოვს**
ვასილ ექვთიმეს-ძე **მატიშევს**
მიტროფანე ტროფიმეს-ძე **სტუპაკოვს**
დიმიტრი ანდრიას-ძე **ტერეხოვს**
ევგენი ვასილის-ძე **ტულუპოვს**
ვსევოლოდ ტიხონის-ძე **ფედოროვს.**

**საინტენდანტო სამსახურის გენერალ-მაიორის წოდება**

გრიგოლ ვასილის-ძე **ალექსანდროვს**
ალექსი პეტრეს-ძე **ერმილოვს**
ტიხონ ტიხონის-ძე **კობზარს**
ალექსი გიორგის-ძე **კოვირზინს**
ნიკიფორე ივანეს-ძე **კუტუზოვს**
მიხეილ სტეფანეს-ძე **ლიშკოს**
ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ლოსიკოვს.**

**საინჟინრო-საავიაციო სამსახურის გენერალ-მაიორის წოდება**

ევგენი სერგის-ძე **ანდრეევს**
ვიქტორ თევდორეს-ძე **ბოლხოვიტინოვს**
სერგი ვლადიმერის-ძე **ილიუშინს**
ვასილ პეტრეს-ძე **კუზნეცოვს**
ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე **პონომარიოვს**
კონსტანტინე ვიქტორის-ძე **სახნოვსკის**
სტეფანე ოსიპის-ძე **შჩერბაკოვს**
ალექსანდრე სერგის-ძე **იაკოვლევს.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ი. სტალინი**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი **ი. ჩადაევი**

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 10 ნოემბერი.

## დიდი სტალინის მოხსენება და ბრძანება ახალ საგმირო საქმეებს შთაგვაგონებს წითელი არმიის დასახმარებლად!

### ფრონტული თავდადებით ვიმუშავებთ

**8 ნოემბერს** თბილისის საელმავლო დეპოში შესდგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის — ამხანაგ **სტალინის** მოხსენებას მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე. მიტინგი უდიდესი აღფრთოვანებით ჩატარდა.

სიტყვას პირველი იღებს სამასოვანი ხარატი ამხ. ჟაბინი. იგი ამბობს:

— ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში განსაზღვრა ის ამოცანები, რომლებიც ამჟამად დასმულია წითელი არმიის, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე. შევფიცოთ, რომ შევასრულებთ ჩვენს წმიდა მოვალეობას სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად. მეტი პროდუქცია მივცეთ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს, მეტი დახმარება გავუწიოთ წითელ არმიას გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების სრულ განადგურებაში.

— კიდევ უკეთესად, კიდევ უფრო ნაყოფიერად ვიმუშაოთ, — მოუწოდებს დამსწრეთ ელექტრომონტიორი მედალოსანი ამხ. ცაცანაშვილი. — დღემდე 2-2½ ნორმას ვიძლეოდი,—ამბობს იგი.—ამიერიდან სულ ცოტა 3-3½ ნორმას გამოვიმუშავებ. ეს იქნება ჩემი პასუხი საყვარელი ბელადის ისტორიულ მოხსენებაზე.

მემანქანე ევგენია ხუბულურმა იკისრა ვალდებულება კრივონოსულად წაიყვანოს მატარებლები, დაზოგოს 20 პროცენტი საწმენდი და საცხები მასალა.

მიღებულ რეზოლუციაში საელმავლო დეპოს კოლექტივმა იკისრა მთელი რიგი ახალი, კონკრეტული ვალდებულებანი. (საქდესი).

### ვერაგი მტრის სრული განადგურებისათვის

პატრიოტული აღმავლობითა და შრომითი ენტუზიაზმით ჩატარდა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიიძღვნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ი. ბ. სტალინის მოხსენებას მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოსა და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე და თავდაცვის სახალხო კომისრის—ი. სტალინის № 345 ბრძანებას.

მოხსენებისა და ბრძანების ტექსტი მიტინგზე წაიკითხა ფაბრიკის დირექტორმა პ. ქართველიშვილმა. დამსწრენი დიდი ყურადღებით ისმენდნენ დიდი ბელადის ბრძნული მოხსენებისა და ბრძანების შინაარსს.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა მეოთხე საამქროს უფროსი ამხ. პატოჩიანი.—7 ნოემბრისათვის ჩვენმა საამქრომ გეგმა 144 პროცენტით შეასრულა,—სთქვა ამხ. პატოჩიანმა.—საამქროში გვყავს 113 სტახანოველი და 9 დამკვრელი. არ არის არც ერთი მუშა, რომელიც გეგმას გადამეტებით არ ასრულებდეს. ამხანაგ სტალინის მოხსენებით აღფრთოვანებულნი კიდევ უფრო დავძაბავთ ჩვენს ძალასა და ენერგიას. დაუღალავად ვიმუშავებთ ფრონტისათვის და დავეხმარებით მშობლიურ წითელ არმიას საძულველი მტრის საბოლოო განადგურებაში.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ურუტაძე, ნანიტაშვილი და სხვ.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია. პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები ბელადის მოხსენების პასუხად კისრულობენ მეოთხე კვარტალის გეგმა შეასრულონ გადაჭარბებით, გამოუშვან მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია, არ დაუშვან წუნი, დაზოგონ 500 მეტრი ნედლეული და 300 მეტრი აბრეშუმი.

### კალინინელების ახალი ვალდებულებანი

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშაკთა კოლექტივის მიტინგს ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. გრიგორიევმა გააცნო ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის მოხსენება და 7 ნოემბრის ბრძანება. მიტინგის მონაწილენი—მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკოსები ბელადის ისტორიულმა მოხსენებამ და ბრძანებამ აღაფრთოვანა შრომის ფრონტზე კიდევ უფრო თავდადებული მუშაობისათვის.

მიტინგზე სიტყვებით გამოსულმა სალურსმნო საამქროს უფროსმა შ. კეშელაშვილმა, კომკავშირელმა ზეინკალმა ვ. ისაკოვმა, ბრიგადირმა ზეინკალმა ო. ბაბაიანმა, მეყალიბეებმა ვ. ქოსაშვილმა და ს. იაკუშევამ, საზეინკლო საამქროს უფროსმა ს. სუკიასოვმა, ხარატმა ა. აირაპეტიანმა და სხვ. ბელადის მოხსენებისა და ბრძანების პასუხად იკისრეს ახალი კონკრეტული ვალდებულებანი. პირობა დასდეს იმუშაონ გაათკეცებული ენერგიით, გასწიონ ყველაფერში მომჭირნეობა, ფრონტს მიაწოდონ მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

მთლიანად ქარხნის კოლექტივმა იკისრა: წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ქვეყანას, ფრონტს მისცეს 1.700.000 მანეთის პროდუქცია, მეოთხე კვარტალის დავალება სპეცდაკვეთების დარგში შეასრულოს 20 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით აითვისოს და გამოუშვას 100 ნაწილი, დაამყაროს წარმოებაში შრომის მტკიცე დისციპლინა. მიაღწიოს მასალის, სათბობისა და ელექტროენერგიის მეტ ეკონომიას, შრომის ნაყოფიერების გადიდების წლიური გეგმა შეასრულოს ვადამდე —5 დეკემბრისათვის.

### ხალხმრავალი მიტინგები გორში

**გორი** („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის მშრომელები უდიდესი ინტერესით ეცნობიან დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოხსენებას. კამოს სახელობის გორის საკონსერვო ქარხნის მუშაკთა მიტინგს ამხანაგ სტალინის მოხსენება და 7 ნოემბრის ბრძანება გააცნო საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. მიხანაშვილმა. სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა მიტროშკინამ განაცხადა: ბელადის მოხსენებამ ახალი ძალა და ენერგია შემმატა. კიდევ უფრო გავაცხოველებ მუშაობას, ნოემბრის გეგმას 200 პროცენტით შევასრულებ.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ბიძინა სულიაშვილმა, ზაკორინმა, ფუნტმა და სხვებმა. ბელადის მოხსენების პასუხად მათ ახალი საწარმოო ვალდებულებები აიღეს. ქარხნის კოლექტივმა ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ჩასწერა, რომ კიდევ უფრო გააძლიერებს მუშაობის ტემპებს და მიმდინარე წლის გეგმას შეასრულებს 5 დეკემბრისათვის, წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მისცემს ათასობით ქილა კონსერვს.

ხალხმრავალი მიტინგები ჩატარდა აგრეთვე რკინიგზის გორის სადგურში, ტყვიავის, მეჯვრისხევის, სვენეთის და სხვა კოლმეურნეობებში. რაიონის მშრომელნი, დიდი ბელადის მოხსენებით აღფრთოვანებულნი, პირობას იძლევიან ყველაფერი გააკეთონ ფრონტის დასახმარებლად, ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

**შ. ჩუბინიძე**

### გავაძლიერებთ ფრონტისადმი დახმარებას

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში დიდი პატრიოტული აღმავლობით მიმდინარეობს მშობლიური ბელადის ამხანაგ **სტალინის** მოხსენებისა და ბრძანების განხილვა. ბრძენი მხედართმთავრის საბრძოლო მოწოდების პასუხად რაიონის მშრომელები იღებენ ახალ ვალდებულებებს.

9 ნოემბერს მაჩხაანის, ჯუგაანის, ტიბაანის, ნუკრიანის, ანაგის, მაღაროს, ვაქირის, ბოდბის, ულიანოვკისა და სხვა სასოფლო საბჭოებში მშრომელთა კრებებზე განიხილეს ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის შესახებ და 7 ნოემბრის ბრძანება. ამხანაგ სტალინის მოხსენების პასუხად სოფ. ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თ. ტარყაშვილმა კოლმეურნეთა სახელით განაცხადა, რომ საშემოდგომო ხვნას დაამთავრებენ 20 ნოემბრამდე, უზრუნველჰყოფენ ხვნაში საკუთარი ცოცხალი გამწევი ძალის მაქსიმალურად გამოყენებას, 10 გუთნის ნაცვლად ამუშავებენ 13 გუთანს.

სოფელ ჯუგაანის ჩარკვიანისა და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ჩითინაშვილმა და აბულაშვილმა ვალდებულება აიღეს 17 ნოემბრამდე უზრუნველჰყონ ყველა სახის სახელმწიფო ვალდებულებათა წლიური გეგმის შესრულება. ულიანოვკის მტს-ის ტრაქტორისტმა სოფიო უსეინაშვილმა ვალდებულებად იკისრა ყოველდღიურად სამი ჰექტარის ნაცვლად მოხნას ოთხი ჰექტარი და გასწიოს საწვავი მასალის მნიშვნელოვანი ეკონომია.

ამხანაგ სტალინის მოხსენების პასუხად ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ალაზნის მტს-ის ტრაქტორისტებმა ილო კიკილაშვილმა, გიგა ჯავახიშვილმა, ლადო შანშიაშვილმა, იტო ბზიკაშვილმა და სხვებმა.

10 ნოემბერს სიღნაღში შესდგა მიტინგები, რომელზედაც მუშა-მოსამსახურეებმა აიღეს ვალდებულებები, რომ უფრო მეტად განამტკიცებენ შრომის დისციპლინას და გამოავლენენ ადგილობრივ რესურსებს, გააძლიერებენ დახმარებას გმირი წითელი არმიისადმი, რათა დააჩქარონ ჰიტლერელი ავაზაკების სრული განადგურება.

**ს. ჭუჭულაშვილი**

### კოლმეურნეებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს

**ჩოხატაური** („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეები გულდასმით ეცნობიან გენიალური მხედართმთავრის—ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და 7 ნოემბრის ბრძანების შინაარსს. ამხანაგ სტალინის მოხსენების საპასუხოდ კოლმეურნეები ახალ-ახალ საბრძოლო ვალდებულებებს კისრულობენ.

8 ნოემბერს სოფელ ზემოჯვარცხმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შემდგარ მიტინგს ბელადის მოხსენება გააცნო რაიაღმასკომის გამგემ ამხ. გ. გაბუნიამ. ბრიგადირებმა პ. ცინცაძემ, ე. ბერძენიშვილმა, კ. ცინცაძემ, ნ. მეგრელიშვილმა ვალდებულება აიღეს თავიანთი ბრიგადებით სტახანოვურად იმუშაონ და გეგმები 180 პროცენტით შეასრულონ. მერგოლეურმა პ. ჩხიკვაძემ გეგმის 300 პროცენტით შესრულება იკისრა. სიტყვით გამოსულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ უ. ცინცაძემ განაცხადა: კიდევ უფრო მეტი თავდადებით ვიმუშავებთ, საწარმოო გეგმებსა და სახელმწიფო ვალდებულებებს გადაჭარბებით შევასრულებთ, მივცემთ ქვეყანას და წითელ არმიას მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, რათა დავაჩქაროთ საზიზღარი მტრის—ჰიტლერელი არამზადების სრული განადგურება.

**ლ. ლოლაძე**

## სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებული არიან:

**წითელი ვარსკვლავის ორდენით**

1. კაპიტანი ამბერკი პოლიკარპეს-ძე **კაციტაძე**

**მედლით „მამაცობისათვის“:**

1. ზემდეგი სარდიონ ლუკას-ძე **ჯიბლაძე**
2. ზემდეგი ვიქტორ ნესტორის-ძე **ნიპორიშვილი**
3. წითელარმიელი ამბროსი ავქსენტის-ძე **კაპანაძე.**

## ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით

**მოქმედი არმია,** 11 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას განაგრძობენ და ზარალს აყენებენ მტერს ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ.

არტილერიის ცეცხლით დაზიანებული და დამწვარია მტრის 21 ტანკი, წამოღებულია დავლა: გერმანელთა 7 დაუზიანებელი ტანკი, 3 ქვემეხი, 2 ჯავშნიანი მანქანა, ერთი მანქანა ყუმბარებიანად, ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი და შტაბის მანქანა ძვირფას დოკუმენტებიანად.

ერთ-ერთ უბანზე გერმანელებმა იერიში მოიტანეს. მტრის ქვეითს ჯარს ახლდნენ ტანკები. საბჭოთა მებრძოლები მტკიცედ შეხვდნენ იერიშის მომტანთ, შემდეგ კონტრიერიშზე გადავიდნენ და მოწინააღმდეგე უკუაგდეს საწყის პოზიციებზე.

მებრძოლნი, ამხანაგ სტალინის სიტყვითა და ბრძანებით აღფრთოვანებულნი, დიდ ზარალს აყენებენ გერმანელებს. მათ მარტო ერთი დღის განმავლობაში რამდენიმე ასეული ჰიტლერელი დახოცეს.

პოზიციებზე, რომლებსაც იცავს მეთაურ ამხ. ბუშევის ქვეგანაყოფი, გერმანელებმა იერიში მოიტანეს რამდენიმე ათეული ტანკით. არც ერთ წითელარმიელს არ მიუტოვებია თავისი პოზიციები. მტრის ტანკებს არტილერიისა და ჯავშანმტვრეველთა ცეცხლით შეხვდნენ. გერმანელებმა რამდენიმე მანქანა დაჰკარგეს, წარმატებას ვერ მიაღწიეს და უკან დაიხიეს.

## ჰიტლერელებს თავიანთი ჯარისკაცების გახრწნისა ეშინიათ

**კალინინის ფრონტი,** 11 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანელ ჯარისკაცთა შორის, განსაკუთრებით რეზერვისტთა შორის, სულ უფრო და უფრო ძლიერდება ეჭვი ჰიტლერული გერმანიის გამარჯვებაში. მე-14 მოტომექანიზებული დივიზიის 53-ე პოლკში ეს განწყობილება იმდენად გავრცელდა, რომ პოლკის მეთაური იძულებული იყო გამოეცა ოფიცრებისადმი მიმართული სპეციალური ბრძანება. ბრძანებაში ნათქვამია:

„ახალგაზრდათა ახალი შევსების დიდი რაოდენობის არსებობას უდიდესი საფრთხე მოაქვს პოლკისათვის, სახელდობრ ის საფრთხე, რომ გაქრება მოვალეობის შესრულების სრული გაგება და ამგვარად გაიხრწნება ნაწილი. ამას უკვე მოწმობს სხვადასხვა ცუდი ნიშანი. ამ საფრთხის თავიდან აცილება—ასეთია ამოცანა, პირველ რიგში, უფროსი ოფიცრებისა, უნტერ-ოფიცრებისა და ძველი ჯარისკაცებისა. მისი გადაჭრა შეიძლება უაღრესად ენერგიული შეტევით მამაცური სიმტკიცის უქონლობის ყოველი გამოჩენისას.

7 აგვისტოს მე-5 ასეულის ჯარისკაცმა ბერნერმა სთქვა: „წინა ხაზზე ყოფნა ყველას საშინლად მობეზრდა“. მე ბრძანება გავეცი დაეპატიმრებინათ ეს კაცი და საველე სამართალში მიეცათ... ეს სიტყვები ჩემთვის პირში რომ ეთქვა, ამ კაცს დავხვრეტდი“.

# საქართველოს მამაცი შვილები სამამულო ომის ფრონტებზე

## ორდენოსანი უფროსი სერჟანტი დ. ნეფარიძე



დავით ლაზარეს-ძე ნეფარიძე დაიბადა 1918 წელს. სოფ. სხვავაში (ამბროლაურის რ.). პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფლის სკოლაში, ხოლო 1937 წელს დაამთავრა ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. 1938 წელს ამხ. ნეფარიძე გაწვეულ იქნა წითელ არმიაში და გაიგზავნა შორეულ აღმოსავლეთში.

ამხ. ნეფარიძე საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი გახდა, საუკეთესოდ შეისწავლა სამხედრო ხელოვნება, რისთვისაც მიიღო დივიზიის მეთაურისაგან ქების სიგელი და დაჯილდოებულ იქნა ნიშნით „ოტლიჩნიკ რკკა“.

ამხ. ნეფარიძე მონაწილეობას იღებდა ხალხინ-გოლთან მომხდარ ბრძოლებში.

დიდი სამამულო ომის დაწყებისას ამხ. ნეფარიძეს უკვე სერჟანტის წოდება ჰქონდა.

ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის სახელოვან დამცველთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკუთვნის ქართველი ხალხის მამაც შვილს ამხ. დ. ნეფარიძეს. ამ დროს იგი მეთაურობდა მზვერავთა ათეულს და თავისი მებრძოლებით ბევრჯერ გაუწევია მნიშვნელოვანი სამსახური ჩვენი ჯარის ნაწილებისათვის, მრავალი „მოენე“ მოუყვანია, ხელთ უგდია მტრის მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რუკები, ათობით ფაშისტი გაუწყვეტია და მათი იარაღი და საჭურველი წამოუღია.

აი რას მოგვითხრობს ამხ. ნეფარიძე დაზვერვაში პირველად წასვლის შესახებ.

„დაზვერვაში ვიყავით მე და ჩემი ამხანაგი. ხშირი ტყე გავიარეთ და უკვე მინდვრად უნდა გავსულიყავით, რომ 15 გერმანელი შევამჩნიეთ. ჩვენ მაშინვე ხეებს ავეფარეთ და მათ შესახვედრად მოვემზადეთ. როდესაც გერმანელები მოგვიახლოვდნენ, ვტყორცნე გრანატი და ექვსი ფაშისტი იქვე დაეცა. სხვები აქეთ-იქით გაიფანტნენ და ხეებს ამოეფარნენ. ჩვენ გავინაბეთ. ფაშისტებმა უწესრიგოდ დაიწყეს ავტომატების სროლა, ტყვიამფრქვევიც კი ააკაკანეს, მაგრამ ჩვენ ხმას არ ვიღებდით. ბოლოს, ალბათ, იფიქრეს, რომ ცოცხლები აღარა ვართ, და ისე აღარ ფრთხილობდნენ. ჩვენც ამით ვისარგებლეთ და 6 ფაშისტი კიდევ გავწყვიტეთ, ხოლო 3 ტყვედ წამოვიყვანეთ“.

ამხ. ნეფარიძეს თავისი ათეულით მრავალი ბრწყინვალე საბრძოლო ოპერაცია ჩაუტარებია მტრის ტერიტორიაზე. მას შეუძლია მოგვითხროს ათობით ეპიზოდი, სადაც გამოუჩენია თავისი უნარი, მოსაზრებულობა, ინიციატივა და ვაჟკაცობა, რაც ახასიათებს კარგ მზვერავს.

ერთხელ ამხ. ნეფარიძემ მიიღო დავალება გერმანელთა შტაბიდან მოეტანა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, მათი საბრძოლო მოქმედების გეგმა და ადგილმდებარეობაც დაეთვალიერებინა. ამხ. ნეფარიძე თავისი ათეულით ღამის 10 საათზე გავიდა ჩვენი ნაწილების განლაგებიდან ამ ამოცანის შესასრულებლად.

„მოწმენდილ ცაზე მთვარე ამოდიოდა, როდესაც გავედით, — მოგვითხრობს ამხ. ნეფარიძე. — მდინარეს, რომელზედაც უნდა გადავსულიყავით, ტყის ჩრდილი ედგა. გადასვლა არც ისე ადვილი იყო. მდინარე ჯერ არ იყო მთლად გაყინული და ყინულის დიდრონ ხორგებს მოაგორებდა. ხიდი აფეთქებული იყო. ყინულიდან ყინულზე გადახტომით გავედით მეორე ნაპირზე და მტრის განლაგებაში აღმოვჩნდით. მდინარიდან ერთი კილომეტრი ისე გამოვიარეთ, რომ ვერავინ შეგვამჩნია, ჩვენ კი კარგად დავათვალიერეთ მტრის თავდაცვის განლაგება და საცეცხლე ხაზის სისტემა. უცბად წავაწყდით გერმანელთა გუშაგს. მან ავტომატი დაგვიშინა და ამის გაგონებაზე საცეცხლე წერტილიდანაც ტყვიამფრქვევი დაგვიშინეს. საბედნიეროდ იქვე თხრილი ვნახეთ, შევაფარეთ თავი და სხვა მიმართულებით წავედით. მალე ტყეს მივაღწიეთ, რომლის გავლის შემდეგ მტრის ზურგში აღმოვჩნდით.

ჩვენს თვალწინ გადაშლილი იყო მიდამო, რომელსაც მეორე კიდეზე მოქმედი არტილერიის ცეცხლი სხვანაირ ელფერს აძლევდა. მივდიოდით ფრთხილად. ყველაფერს ვაკვირდებოდით. ერთ ადგილას წავაწყდით მიწურს, სადაც რამდენიმე ადამიანს შეეფარებინა თავი. ესენი მშვიდობიანი მცხოვრებნი იყვნენ, რომლებიც ფაშისტთა საშინელებას გამოქცეოდნენ. მათ ჯერ შეეშინდათ, ხოლო როდესაც გაიგეს ვინ ვიყავით, ძალიან გაეხარდათ. ერთი 13-14 წლის ბიჭი წინ გაგვიძღვა და შორიდან დაგვანახვა, სად იყო გერმანელთა შტაბი, თან დაწვრილებით გვიამბო მისი განლაგება და დაცვა.

გერმანელთა შტაბი მდებარეობდა ტყის პირას, რამდენიმე შენობაში, რომლებსაც შემოვლებული ჰქონდათ მავთულლობურა. წინ, მავთულლობურის ჩაყოლებით, გამწკრივებული იყო ტყვიამფრქვევები, ნაღმსატყორცნები, ხოლო უკან დაყენებული იყო ქვემეხები. მავთულლობურაში გაკეთებულ შესასვლელს იცავდა გუშაგი ტყვიამფრქვევით. ჩემი ექვსი მებრძოლი დავაყენე მავთულლობურის გასწვრივ, ხოლო მე და სამი მებრძოლი ცოცვით შევიპარეთ შტაბის ტერიტორიაზე.

შტაბის მთავარი შენობიდან შუქი გამოსჭვიოდა. ფანჯრებში გრანატები შევაგდეთ, შემდეგ შიგნით შევიჭერით და იქ მყოფნი გავჟლიტეთ. საჩქაროდ ვტაცეთ ხელი მაგიდაზე დაწყობილ დოკუმენტებს, გეგმებს, რუკას და გარეთ გამოვვარდით. გარეთ უკვე პანიკა იყო. შენობებიდან უწესრიგო სროლით გამორბოდნენ ფაშისტები, მაგრამ მათ დახვდა ჩემი ექვსი მებრძოლის ცეცხლი. ჩვენ ვისარგებლეთ პანიკით და შევეფარეთ ტყეში. შტაბში კი საშინელი ამბავი ატყდა — ისროდნენ ტყვიამფრქვევებს, ნაღმსატყორცნებს, ჰქუხდა არტილერია, თითქოს ათი კაცი კი არა, მთელი დივიზია დასხმოდეთ. ჩვენ კი უკვე სამშვიდობოს ვიყავით გასული“.

ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულების დროს ამხ. ნეფარიძე მძიმედ დაიჭრა. მთავრობამ ღირსეულად დააფასა ამხ. ნეფარიძის თავდადება. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის უფროსი სერჟანტი დავით ლაზარეს-ძე ნეფარიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

ნ. მათიკაშვილი

## ორდენოსანი ლეიტენანტი ვ. ხაჭიპერაძე



ლეიტენანტი ვლადიმერ ვლადიმერის-ძე ხაჭიპერაძე დაიბადა მაიაკოვსკის (ყოფ. ბაღდათის) რაიონის სოფ. ობჩაში 1907 წელს. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში. აქვე შეისწავლა საბუღალტრო საქმე. 1927 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში და დაამთავრა ერთწლიანი სამეთაურო სამხედრო სკოლა. 1928 წლიდან ამხ. ვ. ხაჭიპერაძე მუშაობდა ზესტაფონის რაიონში ჯერ რაიკავშირის ბუღალტრად, შემდეგ მილიციის გამომძიებლად და ყოფილ პარტიზანთა ბიუროში, ხოლო ბოლოს, 1935 წლიდან, ზესტაფონის „რაიაბრეშუმში“.

1940 წლის 12 მარტს ამხ. ხაჭიპერაძე როგორც უმცროსი ლეიტენანტი გაიწვიეს მუდმივ სამხედრო სამსახურში. 1942 წლის 5 აგვისტოს წავიდა იგი ფრონტზე. სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი ჩვეული მამაცობით ეკვეთა ვერაგ მტერს. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ლეიტენანტი ვლადიმერ ვლადიმერის-ძე ხაჭიპერაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ფრონტის სამხედრო საბჭომ დააჯილდოვა წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ამხ. ხაჭიპერაძე ბრძოლის მძაფრ წუთებშიაც კი პოულობს დროს და ოჯახს—მშობლებს, ცოლშვილს, ძმებს წერილებს უგზავნის. 7 სექტემბერს იგი ძმას ასეთ წერილს უგზავნიდა:

„სალამი ლეოს! გისურვებთ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას. ვიცი ჩემი ამბავი გაინტერესებთ. ვიმყოფები ფრონტზე და სადაც შემხვდებიან ფრიცები, მუსრს ვავლებ. ოთხი დღის განმავლობაში მათი ტანკების ხუთი შემოტევა მათივე შერცხვენით დამთავრდა—უკუქცეულ იქნენ დიდი ზარალით, ისე, რომ ერთი კაციც ვერ მოგვიკლეს. გერმანელები რამდენიმე სოფლიდან გავრეკეთ და იქ ჩვენ გავმაგრდით. მე ახლა ბატალიონის მეთაური ვარ და არ დავინდობ ფაშისტებს, სადაც კი შევხვდები. ვმუსრავთ მათ სანამ ჩვენს ტერიტორიას არ გავწმენდთ, სანამ არ გავანადგურებთ ამ კაციჭამიებს. მოკითხვა ოჯახში ყველას, აგრეთვე მეზობლებს. თქვენ მანდ იმუშავეთ მარჯვედ, ჩვენ კი აქ ვურტყამთ მტერს. იყავით სულ კარგად და კარგად. თქვენი ვალოდია“.

ლეიტენანტი ვ. ხაჭიპერაძე ახლაც ფრონტზეა და დაუნდობლად ჟლეტს ფაშისტ ბარბაროსებს.

პ. ჭიოკაძე

## ორდენოსანი უფროსი სერჟანტი ნ. ჩინჩალაძე



გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ფრონტის სამხედრო საბჭომ უფროსი სერჟანტი ნოე ალექსანდრეს-ძე ჩინჩალაძე დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით.

ამხ. ნ. ა. ჩინჩალაძე დაიბადა სოფ. ახალბედისეულში (წულუკიძის რ.). არასრული საშუალო სკოლა თავისსავე სოფელში დაამთავრა. შემდეგ სწავლობდა მათხოჯში (წულუკიძის რ.) და სრული საშუალო სკოლა დაამთავრა 1940 წელს.

1941 წელს ამხ. ნ. ჩინჩალაძე მივლინებულ იქნა უმცროს მეთაურთა სამხედრო სკოლაში. ეს სკოლა ამხ. ჩინჩალაძემ დაამთავრა სამამულო ომის მრისხანე დღეებში უფროსი სერჟანტის წოდებით. 1941 წლის დეკემბრიდან 1942 წლის თებერვლამდე ამხ. ნ. ჩინჩალაძე კუხის (წულუკიძის რ.) საშუალო სკოლაში სამხედრო საგნის მასწავლებლად იყო. 1942 წლის თებერვალში ამხ. ნ. ჩინჩალაძე საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ფრონტზეა და თავგანწირვით იბრძვის ჰიტლერელი ავაზაკების წინააღმდეგ.

დედისადმი გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში იგი სწერს: „მე ჩემს მოვალეობას სამშობლოს წინაშე აქ მოვიხდი, გმირულად ვიბრძოლებ, თქვენ კი ბეჯითად იმუშავეთ კოლმეურნეობაში“.

ახლახან გამოგზავნილ წერილში ამხ. ნ. ჩინჩალაძე დედას სწერს: „მე, ჩემო დედა, კარგად ვარ. უკვე დავვაჟკაცდი და განვეწყვიცდი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. შევისწავლე მტრის ბრძოლის ხერხები და მასთან ბრძოლაში კონტრხერხებით ვუპასუხებ და ვანადგურებ საზიზღარ კაციჭამიებს. ვიბრძოლებ, დედა, სანამ სული მიდგას და მკლავში ძალა მაქვს. არ შეგარცხვენ არც შენ და არც ჩემს სამშობლოს“.

ქ. ცაცუა

## ექვსი ორმოცის წინააღმდეგ

ცამდე აწვდილი ხეები თავისი ხშირი ფოთლოვანი ტოტებით ნაადრევმოსხმულ ვაკეკეგიჩებით ფარავდნენ მაღლობს, სადაც ხალარიშვილმა აირჩია საცეცხლე წერტილი. ორი ხის დაგრავნილი მსხვილი ტანი, რომლებიც ერთიმეორეზე იყვნენ ჩახვეულნი, თითქოს გაუვალ სიმაგრეს ჰქმნიდნენ. სწორედ ამ ხეების ჯვარედინზე გადაეყო თავი ათეულის ტყვიამფრქვევს. მაღლობიდან რამდენიმე ფეხის ნაბიჯის დაშორებით საცალფეხო ბილიკი მიიკლაკნებოდა. ამ გზისაკენ ეპყრათ თვალი ჩვენს მებრძოლებს. ამ გზით ელოდნენ ისინი მტერს.

ღამის წყვდიადი მთვარემ გაფანტა. დროგამოშვებით ნაღმსატყორცნები საშინელი ამოხვნეშით არღვევდა ღამის მყუდროებას. კანტიკუნტად გაისმოდა ტყვიის წივილი.

— საჭიროა ერთი ამხანაგი დაზვერვაზე წავიდეს. ამდენმა ლოდინმა გული წაიღო, — მიმართა მებრძოლებს ათეულის მეთაურმა ამხ. სალარიშვილმა და მის წინ აღიმართა ვეფხვივით ახოვანი ვაჟკაცი ნიკოლოზ გულვარდაშვილი.

— მე წავალ, ამხანაგო უფროსო!—მიმართა მან უფროსს და უმალვე დავალება მიიღო. იგი მაღლობიდან ჩამოცოცდა, ბილიკს გვერდი აუქცია, ტყე მალულად გაიარა, მინდორი ხოხვით გადასერა. მდინარის პირას შედგა და ყური დაუგდო, მდინარის ტალღების ხმაურში გერმანელთა ლაპარაკი გაარჩია. მალე მისმა გამჭრიახმა თვალებმა მდინარის გაღმა შენიშნა გერმანელ ჯარისკაცთა მოხრილი სვლა.

გერმანელების ლაპარაკი და ფეხის ხმა თანდათან ახლოვდებოდა. ნიკოლოზ გულვარდაშვილმა ერთხანს კიდევ უგდო ყური. ისიც კი მოინდომა, რომ თვითონ გამასპინძლებოდა ვერაგ მტერს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება უმალვე შეცვალა. არჩია საჩქაროდ დაბრუნებულიყო ამხანაგებთან და საერთო ძალით გაენადგურებინათ მტერი.

გულვარდაშვილმა ელვის სისწრაფით იბრუნა პირი. მინდორი ისევ ხოხვით გამოიარა. ტყე კი სირბილით გადასერა. მეთაურს მოახსენა, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოდის ორმოციამდე ფაშისტ მეავტომატეთა ჯგუფი. ათეული საბრძოლველად მოემზადა. მზვერავს შეუხვიეს ხოხვისაგან ძვლამდე დაკაწრული მუხლები, რის შემდეგ გულვარდაშვილი თავისი ძმის მიხეილის გვერდით ჩასაფრდა.

მტერი ჩვენს ათეულს უახლოვდებოდა.

ვაჟკაცობისა და გმირობის წუთი ჩამოწვა.

— არც ერთი ნაბიჯი უკან!—შეჰფიცეს ერთმანეთს მებრძოლებმა ერთხმად და საზიზღარ მტერს მოულოდნელი სროლა აუტეხეს.

სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ექვსი მამაცი მებრძოლი გმირულად ებრძოდა ორმოც გერმანელს.

ბრძოლამ რამდენიმე საათს გასტანა. ჩვენ მამაც მებრძოლებს ტყვია რომ გაუთავდათ, ხელგრანატებზე გადავიდნენ, შემდეგ კი—ხელჩართულ ბრძოლაზე...

დარჩა ორი ძმა,—ტყუპები ნიკოლოზ და მიხეილ გულვარდაშვილები. მტერი ჯერ კიდევ ჭარბი იყო. მათ მოახერხეს ნიკოლოზისათვის რკალი შემოერტყათ.

—ძმაო მიხეილ! ერთად დავიბადეთ, ერთად მოვკვდეთ სამშობლოსათვის,—წამოიძახა უკანასკნელ მწვავე წუთებში ნიკოლოზმა და გაისმა გერმანული ტყვიამფრქვევის ერთი ჯერი.

ეს იყო მიხეილ გულვარდაშვილი, რომელიც მძიმედ დაჭრილი მისწვდა ბრძოლის ველზე სისხლის ნიაღვარში ჩავარდნილ მტრის ტყვიამფრქვევს და მოსცელა ყაჩაღთა ბრბოს უკანასკნელი ნარჩენი, რომლებიც ლამობდნენ მისი ძმის—ნიკოლოზის ტყვედ ხელში ჩაგდებას... და შეწყდა ბრძოლის ხმა.. ბრძოლის ველი კვლავ ღამის მყუდროებამ მოიცვა. მალე უმცროსმა ლეიტენანტმა ციხისელმა მიაშურა დასახმარებლად თავისი ქვეგანაყოფით, მაგრამ მებრძოლებმა აქ ნახეს მხოლოდ ექვსი საბჭოთა მებრძოლის გმირობის სურათი —გერმანელთა 40 გვამი. იქვე ახლოს იყო ძლივსღა მსუნთქავი მიხეილ გულვარდაშვილი და მისი 5 თანამებრძოლის, ჯერ კიდევ გაუცივებელი ნეშტი. მათ წინაშე ქვეგანაყოფმა თავი დახარა და შეჰფიცა, რომ გერმანელ ყაჩაღთა განადგურებისათვის იბრძოლებენ ისე, როგორც იბრძოდა ეს ექვსი გულადი, რომლებიც სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე გმირთა სიკვდილით დაეცნენ, მაგრამ არც ერთი ნაბიჯით უკან არ დაიხიეს, მტრის მოძალებული ჭარბი ძალების წინაშე.

ნ. კაკუშაძე

## შოთა ბაბუაძემ ჯაშუში შეიპყრო

№ წითელარმიულ გაზეთში წითელარმიელი გრ. მაგალნიკი პოლიტხელის მოადგილის შოთა ბაბუაძის სიფხიზლეზე შემდეგს მოგვითხრობს:

„დილას ტყეში სამეკვიდინოდ გავიდა უმცროს ლეიტენანტ კუტენკოს ოცეული. პოლიტხელის მოადგილე შოთა ბაბუაძე პოლიტინფორმაციას შეუდგა. საათმა შეუმჩნევლად გაირბინა. გაისმა სიგნალი. დადგა შესვენება.

ბაბუაძე ხელებით აქეთ-იქით სწევდა ეკლიან შტოებს და ხრამის პირას გავიდა. უეცრად ბუჩქებს შუა დაინახა მწოლარე სამხედრო კაცი, რომელიც რაღაცას სწერდა. გაუელვა აზრმა: „რა უნდა ამ კაცს აქ ასეთ დროს?“ დააკვირდა და კაცის გვერდზე შენიშნა გაშლილი საფარგლე და რაღაც შუშები. ეჭვი დაებადა, დაინიშნა ადგილი და სწრაფად გამოიქცა უკან. რომ დაბრუნდა, თან მოიყვანა ოცეულის მეთაური. სამხედრო კაცი კვლავ სწერდა.

თითქოს ერთმანეთს წინასწარ შეუთანხმდნენო, პოლიტხელის მოადგილემ და უმცროსმა ლეიტენანტმა ხმამაღლა შესძახეს: „ადექით! აქ რას აკეთებთ?“

უცნობი შეკრთა, წამოხტა და ათრთოლებული თითებით დაიწყო ფურცლის დახევა. ბაბუაძემ მაშინვე ხელი სტაცა:

— რას სწერდით?

— ხელი გამიშვით! ცოლსა ვწერ წერილს. თქვენ რა გესაქმებათ!

ქაღალდის ნაფლეთები ჯიბეში ჩაიდო და აკანკალებული ხმით განაგრძობდა:

— მე საშუალო მეთაური ვარ. თქვენ გგონიათ, ჯაშუში ვარ? სისულელეა. ახლავე დოკუმენტებს გიჩვენებთ, ბიჭებო.

დოკუმენტები უმცროსი ლეიტენანტის სახელზე და ცნობა იმის შესახებ, რომ ის შენაერთებაში მიდიოდა, მართლაც აღმოაჩნდა, მაგრამ ფხიზელი მეომრები ამან არ დააკმაყოფილა. მეტად არაბუნებრივად ეჭირა თავი ამ „უმცროს ლეიტენანტს“. და ამიტომ წინადადება მისცეს წაჰყოლოდა მათ შტაბში.

— მატარებელზე მაგვიანდება, დოკუმენტები ხომ გასინჯეთ, — სთქვა მან.

— თქვენი ნივთები სადღაა? თქვენ ხომ მატარებელზე მიეჩქარებით.

— ნ-ნ-ნივთები?.. მე ნივთები არა მაქვს.

— უთუოდ ცრუობს, — იფიქრა ბაბუაძემ.

ასეც აღმოჩნდა. ბუჩქებში მაზარა იპოვნეს. მასში გახვეული იყო წესდებები, ცნობარები და ლექსიკონები რუსულ და გერმანულ ენებზე. მეტი სალაპარაკო აღარაფერი იყო..

შტაბში, როცა მის დოკუმენტებს სინჯავდნენ, მან დახეული ფურცელი ამოიღო და მალულად ჩაიდო პირში. არც ეს გამოეპარა ბაბუაძეს. იგი ელვის სისწრაფით ყელში სწვდა მტერს. მორიგი ფანდი ჩაიშალა — ქაღალდის სველი ნაკუწები იატაკზე დაცვივდა.

პოლიტხელის მოადგილის შოთა ბაბუაძის სიფხიზლის მეოხებით ასე შეიპყრეს ჯაშუში, რომელიც ჰიტლერელთა დაზვერვას ჩვენს ზურგში შემოეგზავნა“.

## სამხედრო ექიმის ა. მასხულიას თავდადებული მუშაობა

№ წითელარმიულ გაზეთში პოლიტხელი ა. ბაბენკო თავის წერილში სათაურით „ექიმი, ოილშევიკი, ორგანიზატორი“ შემდეგს მოგვითხრობს ექიმი ალექსანდრა ევგენის-ასულ მასხულიას თავდადებულ მუშაობაზე:

„კარავში შემოიყვანეს მძიმედ დაჭრილი წითელარმიელი, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა.

— შეუჩერეთ სისხლისდენა,—უბრძანა ალექსანდრა ევგენის-ასულმა სანიტარ ზეინატულინს. თვითონ კი სანიტრის მოქმედებას თვალს ადევნებდა და ოპერაციისათვის ემზადებოდა.

სოფელიდ ფაშისტი სვავები გამოჩნდნენ. ისინი ღმუილით ეშვებოდნენ დაბლა და ჰყრიდნენ მომაკვდინებელ ტვირთს. თითქმის კარვის გვერდით სკდებოდა ბომბები, მაგრამ მამაცი ექიმი, სანიტარი და სამედიცინო და მედენიკოვა თავის საქმეს განაგრძობდნენ.

მათ მაშინაც არ მიატოვეს ავადმყოფი, როდესაც აფეთქებამ კარავს მიწა და ქვები გადმოაყარა და იქვე გვერდით ბომბის ნამსხვრევები ცვიოდა.

— გმადლობთ,—სთქვა მებრძოლმა, როდესაც ოპერაციის შემდეგ გრძნობაზე მოვიდა,— თქვენ მე სიცოცხლე შემინარჩუნეთ.

ალექსანდრა ევგენის-ასული მასხულია სამამულო ომის პირველი დღიდანვე თავისი სურვილით წავიდა წითელ არმიაში.

400-ზე მეტი ოპერაცია გააკეთა ამხ. მასხულიამ წითელ არმიაში ყოფნის დროს. გასული წლის ოქტომბერში იგი დაიჭრა. განკურნების შემდეგ კვლავ დაბრუნდა წყობილებაში. ალექსანდრა ევგენის-ასული არა მარტო ექიმია, არამედ ორგანიზატორიც არის.

მისი ხელმძღვანელობით მომზადებულ იქნა 70-მდე სანიტარული ინსტრუქტორი, რომელთაგან რვა წარდგენილია მთავრობის ჯილდოზე. როგორც პარტორგი, იგი დიდ მუშაობას ეწევა სოციალისტური შეჯიბრების გასაჩაღებლად.

მისი ხელმძღვანელობის დროს პარტორგანიზაცია თითქმის ერთისამად გაიზარდა, ხოლო კომკავშირული ორგანიზაცია ერთიორად.

ქართველი ხალხის მამაცი ქალიშვილი მთელ თავის ძალ-ღონესა და ნიჭს ახმარს თავისი სამშობლოს—დიადი საბჭოთა კავშირის დაცვას“.



მოქმედი არმია. მოზდოკის რაიონი. სურათზე: ლეიტენანტ მელაძის (წინა პლანზე) მეავტომატეთა ჯგუფი მთის ზღუდით მიემართება მტრის ზურგში. ფოტო ს. სემინისა.

## ორგზის ორდენოსანი ზემდეგი დ. ჩხიკვიშვილი



„კომუნისტის“ 1941 წლის 1 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო მასალები მსროლელ-რადისტ სერჟანტ დავით იოსების-ძე ჩხიკვიშვილის გმირული საბრძოლო თავგადასავლის შესახებ. მას შემდეგ დ. ჩხიკვიშვილი სარდლობის მიერ დაწინაურებულ იქნა ზემდეგად და მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი დაუღალავად განაგრძობდა ბრძოლას გერმანელ ფაშისტ ბანდიტთა ურდოებთან.

ჯერ კიდევ შარშან, სამამულო ომის პირველ ხანებშივე, სერჟანტმა დ. ჩხიკვიშვილმა, რომელიც სწრაფმავალ საბჭოთა ბომბდამშენზე იყო მსროლელ-რადისტად, თავი ისახელა მტერთან ბრძოლაში.

— „ქალაქ ბ-ს რაიონში,—სწერდა დ. ჩხიკვიშვილის შესახებ № საფრონტო გაზეთი,— ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტის დაბომბვის შემდეგ, საბჭოთა ბომბდამშენი, რომელზეც მსროლელ-რადისტად ამხ. ჩხიკვიშვილია, თავის აეროდრომისაკენ ბრუნდებოდა. უეცრად გერმანელთა თვითმფრინავები გამოჩნდნენ. გაიმართა საჰაერო ბრძოლა, რომლის შესახებაც ამხ. ჩხიკვიშვილი მოგვითხრობს:—მტრებს ჩვენი ბომბდამშენის ქვემო ლიუკიდან ავუტეხე სროლა, მაგრამ მათ მოახერხეს და გაისხლტნენ. შემდეგ მტრის თვითმფრინავებმა მაღლა აიწიეს და ახალი იერიშისათვის მოემზადნენ. მარჯვენა მანქანა უფრო ახლოს მოეშვა და ტყვია დავაყარე. დავინახე, რომ გერმანელთა ავიაგამანადგურებელი შავ კვამლში გაეხვია და ქვასავით დაეშვა მიწაზე. „ესეც შენ“, — ვიფიქრე და თან თვალს არ ვაშორებდი მეორე ავიაგამანადგურებელს, მაგრამ მან, პირველის ბედით დამფრთხალმა, საჩქაროდ მოჰკურცხლა. ამით დამთავრდა ჩემი პირველი საჰაერო ბრძოლა“.

გადიოდა დრო და მსროლელი-რადისტი დ. ჩხიკვიშვილი განაგრძობდა ფრენას და მტრის სამხედრო ობიექტისა და ჯარების დაბომბვას საბჭოთა ბომბდამშენებიდან. მის ანგარიშზე უკვე იყო შვიდი დამსხვრეული ფაშისტური თვითმფრინავი, მტრის მრავალი სამხედრო ობიექტი, საბჭოთა ბომბებისაგან დანგრეული, ფაშისტური გერმანიის მრავალი დანგრეული ქარხანა და ერთი ტყვე ფაშისტი მფრინავი.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სერჟანტი დავით იოსების-ძე ჩხიკვიშვილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული იქნა ლენინის ორდენით.

ამის შემდეგ უკვე წელიწადმა განვლო. ამხ. დ. ჩხიკვიშვილი, რომელიც ამჟამად მაიორ დოდონოვის შორი რადიუსით მოქმედი თვითმფრინავის ეკიპაჟშია ზემდეგად, მონაწილეობას იღებდა ბერლინზე, დანციგზე, კენიგსბერგზე, ბუქარესტსა და ბუდაპეშტზე საბჭოთა თვითმფრინავების თავდასხმებში.

კენიგსბერგზე საბჭოთა თვითმფრინავების თავდასხმის შესახებ, რაც მიმდინარე წლის ივლისში მოხდა, ერთ-ერთ საფრონტო გაზეთში დაბეჭდილი იყო ამხ. დ. ჩხიკვიშვილის ნაამბობი:

— კენიგსბერგში, ფაშისტთა სამხედრო ხროვის აღმოსავლეთ პრუსიის ამ ბუნაგში, —ნათქვამია ამ ნაამბობში,—ეტყობა, არ მოელოდნენ საბჭოთა თვითმფრინავების თავდასხმას. ჩვენზე ადრე იქ მისულმა თვითმფრინავებმა გასანათებელი ბომბებით გააჩირაღდნეს მთელი ქალაქი. ჩვენ ვხედავდით ქუჩებს, სახლებს, ქუჩებში პანიკით მოცულ ხალხსაც კი. ადვილად ვიპოვნეთ ის ობიექტი, რომელიც უნდა დაგვებომბა და ამ დროს უკვე გვესმოდა ჩვენი თვითმფრინავებიდან ქალაქის სხვადასხვა უბნებში ჩაყრილი ბომბების აფეთქების ხმა. ჩვენი თვითმფრინავიც შეუდრეკლივით ძირს დაეშვა და მიზანში ამოღებულ ობიექტს ბომბები დააყარა. ძლიერი აფეთქების ტალღამ ჩვენი თვითმფრინავიც შეათამაშა. გადავიღეთ სურათი და ახლა საზენიტო ბატარეას მივაშურეთ. ორიოდე ბომბი მასაც ვუთავაზეთ და შემდეგ ტყვიამფრქვევის სროლაც აუტეხეთ. გულნაჯერები დავბრუნდით. გზაში არავითარი შემთხვევა არა გვქონია“.

მთავრობამ ღირსეულად დააფასა ამ ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტის საბრძოლო დამსახურება და მიმდინარე წლის აგვისტოში, იგი დააჯილდოვა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.

დავით იოსების-ძე ჩხიკვიშვილი დაიბადა 1921 წლის თებერვალში, ჩოხატაურში. იგი ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა მამამისი საცხოვრებლად გადავიდა ბათუმში. აქ გაიზარდა დავითი და დაამთავრა ბათუმის მეოთხე სრული საშუალო სკოლა. 1939 წელს დ. ჩხიკვიშვილი გაემგზავრა მოსკოვს, სადაც შევიდა ენერგო-მექანიკურ ინსტიტუტში. პირველი კურსიდანვე იგი გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. მალე დ. ჩხიკვიშვილი, თანახმად მისივე თხოვნისა, გადაიყვანეს ერთ-ერთ საავიაციო შენაერთში. აქ ყოფნისას მან დაამთავრა რადისტების შვიდთვიანი სკოლა და გაიგზავნა ბომბდამშენი ავიაციის შენაერთში. უკანასკნელ ხანებში იგი მონაწილეობას იღებდა მტრის ჯარების დიდი დაჯგუფების განადგურებაში გმირ ქალაქ სტალინგრადთან.

ამხ. დ. ჩხიკვიშვილი აღზრდილია საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის რიგებში. 1939 წელს მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) წევრად. ამხ. დ. ჩხიკვიშვილი ღირსეულად ატარებს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წევრის სახელს, როგორც უშიშარი და თავდადებული საბჭოთა პატრიოტი.

დ. ლომთაძე



## კუბატი კარდანოვის სამი ორდენი



[illegible]

„... არის?“ ცაში თეთრი რაკეტი გასკდა, დაიწყო საფრენოსნო დღე.

თავის ხუთას ოცდამეორე საბრძოლო გაფრენაში წავიდა უფროსი ლეიტენანტი კუბატი კარდანოვი.

დასავლეთიდან მოტორების გუგუნი მოისმა. — ჩვენები ბრუნდებიან, — სიხარულით შესძახა არჩილმა და გაექანა დასაშვები მოედნისაკენ. ერთიმეორის მიყოლებით სხდებოდნენ ფართოფრთიანი მოიერიშეები, მათ შემდეგ ავიაგამანადგურებლები. აი კუბატიც. მან მოიხსნა სათვალე, განზე გადააგდო ჩაფხუტი. ხარბად ისუნთქავდა ველების ჰაერს. არჩილი უკვე შეუდგა თვითმფრინავის დათვალიერებას.

— ო, ეს რა არის, რას გაჩუმებულხარ, კუბატი!

თვითმფრინავის ქიმში, პილოტის საჯდომიდან ნახევარ მეტრზე შავად მოსჩანდა ორი მუშტის ოდენა ნახვრეტი.

— სამ „მესერთან“ მქონდა ბრძოლა, — განმარტა თვითმფრინავიდან გადმომავალმა კუბატიმ. მას მხიარულად უბრწყინავდა გრემა თვალები. შუატანისა, გამხდარი, იგი ნაკლებად ჰგავდა მრისხანე გამანადგურებელს. უბრალო წითელარმიულ გიმნასტურაზე ლენინის ორი ორდენი და წითელი დროშის ორდენი უბრწყინავდა.

ამ ადგილებიდან არც თუ ისე შორს, ყაბარდოს მთებში მასწავლებლობდა კუბატი კარდანოვი. იგი დიდი ცხოვრებისათვის ამზადებდა პატარა მთიელებს.

... ყუმბარა გასკდა, ნამსხვრევებმა ღრმად გაუსერა შუბლი. სახეზე, თვალებში თქრიალით ჩამოსდიოდა სისხლი. კუბატიმ დაამთავრა ბრძოლა, მოაგროვა თავისი ჯგუფი და აეროდრომზე მიიყვანა. თვითონ ჩვეულებისამებრ უკანასკნელი დაეშვა, მოახსენა იერიშის შედეგების შესახებ და მხოლოდ მაშინ წავიდა ჰოსპიტალში.

ორას ოცდამეხუთე საბრძოლო გაფრენის შემდეგ, შვიდი თვითმფრინავის ჩამოგდებისა და მტრის ქვეით ჯარიანი რამდენიმე ათეული მანქანისათვის ცეცხლის წაკიდების შემდეგ კუბატიმ ლენინის ორდენი მიიღო.

ორდენის გადაცემისას სარდალმა ხუმრობით უთხრა:

— მალე ნახვამდის, კარდანოვ.

გავიდა ორი თვე და კუბატიმ სარდლის ხელიდან ლენინის მეორე ორდენი მიიღო.

თავისი თვითმფრინავის წინა ნაწილი კუბატიმ ღია წითელ ფერად შეღება. „ეს ჩემი გამოსაცნობი ნიშანია. დაე იცოდნენ გერმანელებმა, ვისთან აქვთ საქმე!“.

ხუთას საათზე მეტი გაუტარებია ჰაერში კუბატის. ჩამოაგდო ცამეტი „მესერშმიტი“, მოსპო სამი ტანკი, ათი საზენიტო და შვიდი საარტილერიო ბატარია, რამდენიმე ასეული სატვირთო მანქანა, გაჟლიტა ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი—და ყველაფერი ეს ერთი და იმავე თვითმფრინავით.

ი. დუბინსკი

მოქმედი არმია.
სამხრეთი.

## საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 11 ნოემბერი. (საკდესი). ინფორმაციის სამინისტროს ცნობით, ვიშის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყველა საესკადრო ნაღმოსანი და სხვა მსუბუქი ხომალდები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საზღვაო ბრძოლაში კასაბლანკასთან, მოსპობილია. სახაზო გემ „ჟან ბარზე“ ხანძარი გაჩნდა. საფრანგეთის ერთი კრეისერი ძლიერ დაზიანდა.

როგორც გადმოგვცემენ, ორანის დაკავება ფაქტიურად ნიშნავს ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში კამპანიის დასასრულს და გაერთიანებულ ერებს საშუალებას აძლევს მოახდინონ თავიანთი ძალების კონსოლიდაცია ღერძის სახელმწიფოთა წინააღმდეგ აღმოსავლეთი მიმართულებით ოპერაციების მოსამზადებლად.

ნიუ-იორკი, 11 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ამერიკელებმა ალჟირში დააპატიმრეს ღერძის სახელმწიფოთა ყველა ქვეშევრდომი. ადგილობრივი მოსახლეობა მისალმებით შეხვდა ამერიკის ჯარებს; ალჟირის ფრანგი მოსახლეობის მეტი ნაწილი თანამშრომლობს ამერიკელებთან. დროებითი ზავი დადებულ იქნა ამერიკის ჯარების გადასხმის 16 საათის შემდეგ.

## ამერიკის ჯარებმა დაიკავეს რაბატი

ლონდონი, 11 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ამერიკის ჯარებმა დაიკავეს რაბატი.

## გერმანელთა დესანტები ტუნისში

ლონდონი, 11 ნოემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ლონდონში მყოფი სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გერმანიის ჯარები ტუნისში გადასხდნენ. მათი ნაწილი მიყვანილ იქნა საჰაერო გზით. ცნობები ამ ჯარების რიცხობრივი შემადგენლობისა და გადასხმის ადგილის შესახებ ჯერჯერობით არ არის.

## ჰიტლერის მიმართვა პეტენისადმი

ჟენევა, 11 ნოემბერი (საკდესი). დღეს ვიშის რადიომ გადასცა ჰიტლერის მიმართვა პეტენისადმი. მიმართვაში ჰიტლერი ვიშის მთავრობას აცნობებს, რომ დაიწყო გერმანიის ჯარების შესვლა საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონაში, რათა დაკავებულ იქნას საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპირო და კუნძული კორსიკა.

ჰიტლერი ცდილობს ამ ახალი თავისი აგრესიის ყაჩაღური ხასიათი დაჰფაროს თვალთმაქცური და დამცინავი განცხადებით იმის შესახებ, რომ ამ შესევას იგი იწყებს ვითომ თვით საფრანგეთის ინტერესებისათვის. ეშინია რა შესაძლო ფრანგი ხალხის წინააღმდეგობის შედეგად შესაძლო გართულებებისა, ჰიტლერი მოუწოდებს პეტენს ხელი შეუწყოს იმას, რომ გერმანიის მიერ დაწყებულმა ახალმა აგრესიამ სისხლისღვრა არ გამოიწვიოს, და ამისათვის პირადად პეტენს და ვიშის მთელ მთავრობას ჰპირდება უშიშროებას, მათი პოსტების შენარჩუნებას და მათთვის ჯილდოდ „საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე“ შეუფერხებელი მიმოსვლის უფლებას.

## გერმანიის ჯარების შესევა საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონაში

ჟენევა, 11 ნოემბერი (საკდესი). ჰავასოფის სააგენტო იუწყება, რომ დღეს, დილის 7 საათზე, გერმანიის ჯარები ჰიტლერის ბრძანებით გადავიდნენ სადემარკაციო ხაზზე შალონ სიურ საონთან და მიიწევენ ლიონისაკენ. დილის 10 საათზე გერმანიის ჯავშანსატანკო რაზმებმა ლიმოჟი გაიარეს.

## გერმანიის ჯარები ვიშში ჩავიდნენ

ჟენევა, 11 ნოემბერი (საკდესი). როგორც ვიშიდან ოფიციალურად იუწყებიან, გერმანიის ჯარები ვიშში ჩავიდნენ.

## პეტენის პროტესტი არაოკუპირებულ საფრანგეთში გერმანიის ჯარების შესვლის წინააღმდეგ

ჟენევა, 11 ნოემბერი (საკდესი). ვიშიდან მიღებული ოფიციალური ცნობით, პეტენმა დღეს მიიღო საფრანგეთში მყოფი გერმანელთა ჯარების სარდალი რუნდშტედტი და განუცხადა მას, რომ საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონაში გერმანიის ჯარების შესვლა არღვევს საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებას დროებითი ზავის შესახებ.

## პეტენი და ვეიგანი ვიშიდან წავიდნენ გაურკვეველი მიმართულებით

ლონდონი, 11 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ, ციურიხიდან მიღებული ცნობების თანახმად, პეტენი და ვეიგანი ვიშიდან წავიდნენ გაურკვეველი მიმართულებით.

## იტალიელთა ჯარები ნიცაში შეიჭრნენ

ლონდონი, 11 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს 15 საათზე იტალიის ჯარები ნიცაში შევიდნენ.

## არაოკუპირებულ საფრანგეთში ინგლისელებისა და ამერიკელების ინტერნირება

ჟენევა, 11 ნოემბერი (საკდესი). როგორც ვიშის რადიო იუწყება, ლავალის მთავრობის ბრძანებით ინგლისელი და ამერიკელი მოქალაქენი საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონაში ინტერნირებული არიან.

## გენუასა და სპეციას შუა სანაპირო რაიონის ევაკუირება

ლონდონი, 11 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მთელი სანაპირო რაიონი გენუასა და სპეციას შორის ევაკუირებულია მუსოლინის ბრძანებით.

## ფრანკოს და კარმონას პასუხი რუზველტის მიმართვებზე

ვაშინგტონი, 11 ნოემბერი (საკდესი). რუზველტის მდივანმა ერლიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ფრანკომ და პორტუგალიის პრეზიდენტმა კარმონამ დამაკმაყოფილებელი სიტყვიერი პასუხი გასცეს რუზველტის მიმართვას. მაგრამ ოფიციალური პასუხი ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

## დაპატიმრებანი საფრანგეთში

ლონდონი, 11 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის არაოკუპირებული ზონის ყველა დიდ ქალაქში მასობრივად დააპატიმრეს ადამიანები, რომლებიც, ვიშის მთავრობის ინფორმაციის სამინისტროს განცხადებით, „აქტიურად ეხმარებიან მოწინააღმდეგეს“.

## ინგლისის ავიაციის თავდასხმა ჩრდილოეთ საფრანგეთზე

ლონდონი, 11 ნოემბერი (საკდესი). ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ გუშინ დღისით „ბოსტონ“ — ბომბდამშენებმა, ინგლისის ავიაგამანადგურებლებისა და მოკავშირე ქვეყნების ავიაგამანადგურებლების დახმარებით, დაბომბეს ჰავრის დოკები. ავიაგამანადგურებელთა სხვა ესკადრილიები თავს დაესხნენ შერბურიდან ფეკანამდე მდებარე რაიონს. ოპერაციებში მონაწილეობა მიიღო 200-მდე ავიაგამანადგურებელმა. მტერს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

## პეტენს ეშინია ხალხის მღელვარებისა

ჟენევა, 10 ნოემბერი (საკდესი). როგორც ვიშიდან იუწყებიან, ამერიკელთა ჯარების გადასხმამ საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროზე დიდი აღელვება გამოიწვია როგორც ოკუპირებულ, ისე არაოკუპირებულ ზონაში. მთელ რიგ ადგილებში გუშინ მოხდა დიდი დემონსტრაციები. პარიზში გაიმართა ახალგაზრდობის მასობრივი დემონსტრაციები. დემონსტრანტები გაიძახოდნენ ლოზუნგებს: „ძირს ჰიტლერელები!“. „გაუმარჯოს თავისუფალ საფრანგეთს!“ ასეთივე დემონსტრაციები მოხდა მარსელსა და ტულონში. შინაპოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებასთან დაკავშირებით, ვიშის მთავრობამ მიიღო მთელი რიგი საგანგებო ზომები. როგორც ვიშის რადიო იუწყება, ხელისუფლებმა გამოაქვეყნეს გაფრთხილება მოსახლეობისადმი შესაძლო „ექსცესების“ წინააღმდეგ და გამოაცხადეს, რომ მთელ რიგ ქალაქებში მოხდა ხალხის მასობრივი დაპატიმრება. განსაკუთრებით ეშინიათ 11 ნოემბრის—ომის მსხვერპლთა ხსოვნის დღის დემონსტრაციისა. ვიშის მთავრობამ აკრძალა ყოველგვარი დემონსტრაციების ჩატარება 11 ნოემბერს და სპეციალურ მიმართვაში მოსახლეობისადმი გაფრთხილებას იძლევა, რომ დემონსტრაციების ან სხვა გამოსვლების ორგანიზატორთა მიმართ უაღრესად სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

## საფრანგეთის გემების სეკვესტრება ა. შ. შტატებში

ნიუ-იორკი, 11 ნოემბერი (საკდესი). ა. შ. შტატების ნავსადგურებში მყოფ საფრანგეთის გემებს სეკვესტრი (ყადაღა) დაადეს.




# აფრიკაში წარმოებული სამხედრო მოქმედების მიმოხილვა

როგორც ცნობილია უკვე გამოქვეყნებული დეპეშებიდან, ინგლისის მე-8 არმიის ჯარებმა, რომლებიც 24 ოქტომბერს შეტევაზე გადავიდნენ მთელ ეგვიპტის ფრონტზე, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ინგლისის ჯარებმა დაიკავეს იმ პოზიციების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებსაც რომმელის არმიის გერმანელ-იტალიელთა ჯარები იცავდნენ. აიღეს მერსა-მატრუხი და მიადგნენ ლიბიის საზღვარს, სადაც მოწინააღმდეგე ცდილობს მოაწყოს ერთგვარი წინააღმდეგობა. ჩვენმა მოკავშირეებმა ხელში ჩაიგდეს 30-40 ათასი ტყვე; გერმანელებმა დაჰკარგეს რამდენიმე ასეული ტანკი და თვითმფრინავი, ათასამდე ქვემეხი. მთლიანად წაყვანილია ტყვედ იტალიელთა 6 დივიზია, რომლებიც ინგლისელების მიერ გარშემორტყმული იყვნენ უდაბნოში. ინგლისის ჯარები ბრძოლას ეწევიან მოწინააღმდეგის საარიერგარდო ნაწილებთან სიდი-ბარანისა და სოლუმის რაიონებში.

მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდათ გერმანელ-იტალიელთა ჯარებს უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის მხრივ: შეტევის პირველსავე დღეს, 24 ოქტომბერს, ელ-ალამეინთან მოკლულ იქნა გენერალი გეორგ შტუმი—გენერალ რომმელის მოადგილე, შემდეგ ტყვედ წაიყვანეს გერმანელთა აფრიკის სატანკო კორპუსის მეთაური გენერალი ფონ-ტომა, რომელიც პარაშუტით გადმოხტა დაზიანებული თვითმფრინავიდან. ყოველდღე ნებდებიან ტყვედ იტალიელი გენერლები.

ამრიგად, გენერალ რომმელის არმია კვლავ დამარცხდა. გენერალ რომმელის უკუქცეულ ჯარებს თავიანთ გზაზე ჯერ კიდევ აქვთ მთელი რიგი გამაგრებული პოზიციები, სადაც ხელსაყრელ შემთხვევაში შეუძლიათ შეჩერდნენ ახალი მაშველი ძალების მისვლამდე: სოლუმი, ხალფაია. გარდა ამისა, წინააღმდეგობის ამ რაიონების უკან არის ტობრუკ—ნავსადგური და რომმელის არმიის მთავარი ბაზა.

მაგრამ იმისათვის, რომ შემტევ ნაწილებს წინააღმდეგობა გაუწიონ, რომმელის ჯარებმა ახალი მაშველი ძალები უნდა მიიღონ, რადგან ის მნიშვნელოვანი ზარალი, რაც მათ დღემდე მოუვიდათ, ალბათ, შესაძლებლობას არ მისცემს მათ წარმატებით გაუმკლავდნენ ინგლისის მე-8 არმიის შეტევას. ამავე დროს კი რომმელის არმიისათვის იტალიიდან მაშველი ძალების გადაყვანა დაკავშირებულია მნიშვნელოვან სიძნელეებთან, პირველ რიგში იმის გამო, რომ ჰიტლერელთა არმიის მთავარი ძალები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჩაიჩლნენ. გარდა ამისა, რომმელისათვის მაშველი ძალების მიწოდებას აძნელებს ინგლის-ამერიკის ავიაციის ბატონობა ეგვიპტეში.

ეგვიპტის ფრონტზე ჩამოვარდნილი ორთვეთი სიწყნარის განმავლობაში, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ გერმანელებმა მთელ თავიანთ შეტევით ძლიერებას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოუყარეს თავი, ინგლისის მე-8 არმიის ჯარებს მიუვიდათ მაშველი ძალები—ტანკები და ავიაცია, აგრეთვე ქვეითი ჯარი. კერძოდ, ინგლისის მე-8 არმიის დასახმარებლად ჩავიდნენ ამერიკის სატანკო ჯარების დიდი შენაერთები და ამერიკის ავიაგამანადგურებელთა და ბომბდამშენთა ესკადრილიები. ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს ცნობით, ინგლისის მე-8 არმიის შემადგენლობაში, გარდა ინგლისისა და ამერიკის ჯავშანსატანკო ჯარებისა, შედიან აგრეთვე ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის ქვეითი დივიზიები, შოტლანდიის 50 და 51 დივიზია, ინგლისის ტერიტორიული ჯარების 42-ე დივიზია, ინდოეთის მე-4 დივიზია, მებრძოლი საფრანგეთის ჯარები და ბერძენთა დივიზია.

რომმელის გერმანელ-იტალიელთა არმიას სექტემბრის დასაწყისისათვის ეგვიპტის ფრონტზე ჰყავდა 15 დივიზია, აქედან 4 დივიზია გერმანელებისა და 11—იტალიელებისა. რომმელის განკარგულებაში არის 4 სატანკო დივიზია და 4 მოტორიზებული დივიზია.

ეგვიპტის ფრონტზე წინათ წარმოებული ოპერაციებისაგან განსხვავებით, რომლებიც სტფლანგო მანევრით იწყებოდა, ინგლისელთა სარდლობამ ახლანდელ ოპერაციაში მოწინააღმდეგეს თავდაპირველად ფრონტალური დარტყმა აგემა და ცდილობდა განევითარებინა იგი გარღვევით თავდაცვის სიღრმისაკენ. ინგლისელთა სარდლობის ტაქტიკის შეცვლა აიხსნება ადგილმდებარეობის პირობებით და იმით, რომ საჭირო იყო წინასწარ გადალახათ მნიშვნელოვანი ფართობი ნაღმიანი ველებისა, რომლებიც იცავდნენ გერმანელ-იტალიელთა არმიის პოზიციებს. მას შემდეგ, რაც ინგლისელთა ჯარებმა წარმატებით გადალახეს მტრის ნაღმიანი ველები და სოლივით შეიჭრნენ გერმანელ-იტალიელთა თავდაცვის ძირითადი ხაზის სიღრმეში, ბრძოლაში გამოყვანილ იქნენ ინგლისისა და ამერიკის სატანკო ჯარების დიდი შენაერთები. ინგლისის არმიის სახმელეთო ნაწილების შეტევას ჰაერიდან დახმარებას უწევენ ინგლისისა და ამერიკის ავიაციის დიდი ძალები, სანაპიროსთან ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტთან თანამოქმედებით.

ინგლისელთა სარდლობამ ისარგებლა იმით, რომ გერმანიის ავიაციის დიდი ძალები გადაყვანილია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე და მოახერხა ბევრჯერ დასხმოდა თავს იმ ბაზებს, აეროდრომებსა და ნავსადგურებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ რომმელის არმიის საბრძოლო მოქმედებას. დაიპყრო რა ბატონობა ჰაერში, ინგლისის ავიაცია, ინგლისის წყალქვეშა ფლოტთან ერთად, წარმატებით ეწეოდა ბრძოლას ხმელთაშუა ზღვის წყლის კომუნიკაციებზედაც. მოკავშირეთა ავიაციამ მთავარი დარტყმა მიმართა ჩრდილოეთ აფრიკის ნავსადგურების — ბენგაზისა, ბარდიისა, სოლუმისა და ტობრუკის წინააღმდეგ. განსაკუთრებით ძლიერი დარტყმა თითქმის ყოველდღე მიმართული იყო რომმელის არმიის მთავარი ბაზის წინააღმდეგ ჩრდილოეთ აფრიკაში—ტობრუკის ნავსადგურის, აგრეთვე კრეტის კუნძულისა და მისი ნავსადგურების წინააღმდეგ.

ტობრუკის ნავსადგურს, ისე როგორც კრეტის კუნძულს, დიდი ოპერატიული მნიშვნელობა ჰქონდა რომმელის არმიის კომუნიკაციათა სისტემაში. კრეტის კუნძული იმის გამო, რომ მას ცენტრალური ადგილი უჭირავს საბერძნეთსა და ტობრუკს შორის, მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენს, საიდანაც იტალიის ჩქარმავალ ტრანსპორტებს საჭურველი მიჰქონდათ ჩრდილოეთ აფრიკაში. საბერძნეთის სამხრეთ ნავსადგურებსა და კრეტას შორის მოკლე მანძილის მეოხებით, იტალიის ტრანსპორტებს საშუალება ჰქონდათ ერთი ღამის განმავლობაში მისულიყვნენ პირეის (საბერძნეთი) ნავსადგურიდან კრეტის კუნძულამდე და მეორე ღამეს—კრეტიდან ტობრუკამდე. კრეტისა და ტობრუკის მისადგომებზე იტალიის ტრანსპორტებს ჰაერიდან იცავდნენ ავიაგამანადგურებლები.

ინგლისის ავიაციის თავდასხმებით ოქტომბრის განმავლობაში კრეტის ნავსადგურებში ჩაძირული იყო იტალიის 16 გემი და 1 ნაღმოსანი. გარდა ამისა, ოქტომბერში ინგლისის ავიაციამ რამდენჯერმე დაარტყა იტალიის გენუის ნავსადგურს, ქალაქებს ტურინს, მილანსა და სავონას. გენუა წარმოადგენს იტალიის მნიშვნელოვან ნავსადგურს და გერმანია-იტალიის ჩრდილოეთ აფრიკის არმიის მომარაგების მთავარ ბაზას.

* * *

ეგვიპტის ფრონტზე ინგლისელთა ჯარების შეტევის დაწყების შემდეგ მალე ამერიკის საექსპედიციო ჯარები გადასხდნენ საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის მთელ რიგ პუნქტებში—პირველად მაროკოსა და ალჟირში, ხოლო 10 ნოემბერს ტუნისშიც. ამერიკელთა ჯარებმა დაიკავეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი პუნქტები, მათ რიცხვში ორანი, ქალაქი ალჟირი და კასაბლანკა, მიიწევენ ქალაქ ბიზერტასა და ტუნისისაკენ. ადმირალი დარლანი და გენერალი ჟიუენი—ვიშის მთავრობის ჯარების სარდლები ჩრდილოეთ აფრიკაში—ამერიკელთა ჯარებს დანებდნენ.

საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში ამერიკელთა ჯარების გადასხმას შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს ეგვიპტეში გაჩაღებული ბრძოლის შედეგზე. როგორც ცნობილია, რომმელის არმიის დამარცხების შემდეგ 1941 წლის ნოემბერში და გერმანია-იტალიის ჯარების ტრიპოლისაკენ უკანდახევის შემდეგ, მათ ვიშის ხროვის დახმარების მეოხებით მოახერხეს შედარებით მალე აღედგინათ თავიანთი ბრძოლისუნარიანობა. სამხედრო მასალის, საწვავისა და შევსების მნიშვნელოვანი ნაწილი გადატანილ-გადაყვანილი იყო საფრანგეთის ტუნისის ტერიტორიით. ამიტომ იყო, რომ ამ წლის იანვრის ბოლოს რომმელის არმიამ შესძლო კვლავ გადასულიყო კონტრშეტევაზე და ინგლისელთა ჯარები განედევნა კირენაიკიდან.

ამჟამად საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის ნავსადგურებში ამერიკელთა ჯარების გადასხმის შემდეგ, ვითარება უნდა შეიცვალოს. ალჟირის, ტუნისისა და მაროკოს მთავარი ნავსადგურები შეერთებული არიან რკინიგზებით, რომლებიც ატლანტის ოკეანიდან ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებისაკენ მიემართებიან. ალჟირიდან და ორანიდან რკინიგზის ლიანდაგები მიდიან საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზის—ბიზერტის ნავსადგურისაკენ, ტუნისის ნავსადგურისაკენ, აგრეთვე სუსისა და სფაქსის ნავსადგურებისაკენ. ამერიკელთა ჯარის გადასხმით მნიშვნელოვნად მოკლდება მანძილი იტალიის სანაპირომდე და იტალიის სამრეწველო ცენტრებამდე. ბიზერტიდან რომამდე 600 კილომეტრია და გენუამდე—დაახლოებით 1.000 კილომეტრი. ალჟირიდან და ორანიდან გენუამდე—დაახლოებით 950 კილომეტრი. ბიზერტიდან და ალჟირიდან სარდინიამდე (კალიარის ნავსადგური, იტალიის სამხედრო-საზღვაო ბაზა)—230-250 კილომეტრი, ასეთივე მანძილია სიცილიის ნავსადგურებამდე. ტუნის-სფაქსის რკინიგზის საბოლოო პუნქტიდან ტრიპოლიმდე დაახლოებით 350 კილომეტრია.

ამრიგად ამერიკელთა ჯარების გადასხდომას ჩრდილოეთ აფრიკაში მთელი რიგი ხელსაყრელი ცვლილებები შეაქვს ინგლისელთა არმიისათვის ეგვიპტეში და უზრუნველჰყოფს ინგლისელთა შეტევის წარმატებას, რასაც მიზნად აქვს რომმელის არმიის გერმანელ-იტალიელთა ჯარების მოსპობა.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ამერიკელთა საექსპედიციო ჯარების ოპერაციების შესაძლო მნიშვნელობა საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში. რეიტერის სააგენტოს სამხედრო მიმომხილველი სწერს: „თუმცა ალჟირის ოპერაციებს დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც საშუალებას, რომ რომმელის არმია გიგანტურ მარწუხში მოამწყვდიონ, მისი მთავარი სტრატეგიული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მოკავშირეებს მიანიჭოს თითქმის სრული კონტროლი ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილისადმი". იგივე კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში გაბატონება მოკავშირეებს გაათავისუფლებს იმის საჭიროებისაგან, რომ თავიანთი მაშველი ძალები აფრიკის გარშემოვლით გზავნონ.

ჩრდილოეთ აფრიკაში მომხდარ ამბებს ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ხმელთაშუა ზღვის მთელ ბასეინში: საფრანგეთში, იტალიაში, ბალკანეთში. დამახასიათებელია აზრი ინგლისის ერთ-ერთი რადიომაუწყებელი კომპანიის „ნეიშენელ ბროდ-კასტინგ კორპორეიშენის" კორესპონდენტისა, რომელმაც განაცხადა: „ჩემი საკუთარი აზრი ისეთია, რომ ჩრდილოეთ აფრიკის საომარი ასპარეზი წარმოადგენს მხოლოდ ფალიას, რომელიც ჩასმულია დენთიან კასრში, რისი აფეთქებაც მოწინააღმდეგეს თავით ფეხებამდე შეარყევს". ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად გამართლდება ეს შეფასება.

პოლკოვნიკი **ა. კონონენკო**

„პრავდა", 11/XI.

## რუზველტის განცხადება ეგვიპტეში საჭურვლის მიწოდების შესახებ

**ვაშინგტონი,** 11 ნოემბერი (საკდესი). რუზველტმა განაცხადა, რომ საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე ამერიკის მიერ მასალების მიწოდებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინგლისელთა წარმატებას ეგვიპტეში. ყველაზე მეტი რაოდენობის საჭურველი გაგზავნილია უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში, როცა ეგვიპტეში გაგზავნილი იყო 1.000-ზე მეტი თვითმფრინავი, სატვირთო მანქანები და ასობით ქვემეხი.

რუზველტმა განაცხადა, რომ ეგვიპტის არმიის მეტი წილი საჭურველი ინგლისური წარმოშობისაა. „მაგრამ,—სთქვა მან,—ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ, რომ ამერიკის საწარმოებსა და გემთსაშენებში დამზადებულმა ესოდენ დიდძალმა საუცხოო საჭურველმა ხელი შეუწყო გამარჯვების მოპოვებას".

## ინგლისელთა შეტევა ეგვიპტეში

**ლონდონი,** 11 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ საიმპერიო ჯარებმა, რომლებიც სანაპიროს გზით მიიწევენ, მტერი განდევნეს სიდი-ბარანიდან და ბრძოლა გაუმართეს მის საარიერგარდო ნაწილებს ბაკბაკში. ნადავლისა და ტყვეების აღრიცხვა გრძელდება.

როგორც პრესა გადმოგვცემს, ძლიერმა წვიმებმა ამ უკანასკნელ დღეებში კიდევ უფრო გააძნელეს რომმელის ძალების უკანდახევა. უკანდახეულნი გზაში სტოვებენ მრავალ სატვირთო და მსუბუქ ავტომანქანას, აგრეთვე სურსათის დიდძალ მარაგს.



„ოლეკო დუნდიჩი“ რუსთაველის თეატრში. სურათზე: (ზევით) მსახიობები ე. აფხაიძე (ს. ორჯონიკიძის როლში), დ. მჟავია (კ. ვოროშილოვის როლში), გ. ასიტაშვილი (ს. ბუდიონის როლში); ქვევით—ბ. ზაქარიაძე (დუნდიჩი), მ. ჯაჯანაშვილი (გალინა), გ. სალარაძე (ხოჯიჩი). ფოტო ვ. გინზბურგისა.

# „ოლეკო დუნდიჩი“

## რუსთაველის თეატრის ახალი დადგმა

1918 წელს სერბიის ჯარის ოფიცერმა ოლეკო დუნდიჩმა ამბოხების დროშა აღმართა, ყაზარმებიდან დასძრა სერბ, ხორვატ და ჩერნოგორელ იუნაკების ესკადრონები, უზღაპრო თავგანწირვით გერმანელთა ჯარების განლაგებაში შეიჭრა, მტერზე უეცარი თავდასხმით გზა გაიკაფა, ფრონტი გადმოლახა და წითლების ცხენოსანთა არმიას შემოუერთდა. სამოქალაქო ომის ამ გმირისა და მისი რაზმის საარაკო სიმამაცის გამომხატველია რუსთაველის თეატრის საოქტომბრო სპექტაკლი.

სამამულო ომის ამ მკაცრ და დაძაბულ დღეებში ეს დროულად შერჩეული და ამაღელვებლად შესრულებული სცენიური განსახიერება დიდი ოქტომბრის რევოლუციის ბრძოლებისა გაისმის როგორც მგზნებარე მოწოდება ჰიტლერის ურდოებზე გამარჯვებისათვის.

უპირველეს ყოვლისა ამ წარმოდგენაში ყურადღებას იპყრობს თეატრის ახალი აქტიორული ძალების გაბედულად წამოწევა. სპექტაკლის დამდგმელი აკაკი ვასაძე განსაკუთრებული გულისხმიერებით მოჰკიდებია ამ ახალგაზრდობას. ამავე დროს სპექტაკლს ბურჯებად შესდგომიან ცნობილი აქტიორები.

დ. მჟავიამ ამ სპექტაკლშიც გვიჩვენა არტისტული ზომიერების გრძნობა და ვოროშილოვის სახის კარგი სცენიური წარმოსახვით წარმატება მოიპოვა. ემ. აფხაიძემ საუკეთესო პორტრეტული მსგავსებით, ხალისიან და თბილ ტონებში წარმოგვისახა სერგო ორჯონიკიძის სახე. წარმატება ხვდა ახალგაზრდა მსახიობს გ. ასიტაშვილს ბუდიონის როლში.

ოლეკო დუნდიჩის როლის შემსრულებელს, რუსთაველის თეატრისათვის ახალ მსახიობს ბ. ზაქარიაძეს ბევრი კარგი აქტიორული თვისება აღმოაჩნდა. მეორე სურათში მარჯვედ მიგნებული ლირიკული ტონით მან უკვე დაიპყრო მაყურებელთა ყურადღება და ტაში დაიმსახურა. მეხუთე სურათის ბატალურ სცენებში, მართალია, ბ. ზაქარიაძე მგზნებარე ტემპერამენტს იჩენს, მაგრამ ბევრჯერ აკლდა ის სიმშვიდე, რაც გაჭირვების წუთებში გმირის ვაჟკაცურ ბუნებას მოსდგამს. სრულიად ზედმეტად სჩანდა მიწყვეტ-მოწყვეტით სირბილი და მყვირალა შეძახილები. ბრძოლის ველიდან დაბრუნების სცენაში მას დაუმუშავებელი აქვს და ამიტომაც მაყურებლამდე ვერ აღწევს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან მოყვანილი მაგალითების აზრი და მნიშვნელობა. ამ ნაკლს აძლიერებდა სუსტი თარგმანიც (ერთ ადგილზე უხერხულად ისმის ფრაზა იმის შესახებ, რომ ავსტრიის გენერალმა „დაჰკარგა შვიდი ათასი მკვდარი“). მაგრამ, როდესაც ოლეკო თავის მეგობარს პალიჩს დასასჯელად გზავნის, შემდეგ უეცრად აბრუნებს და გადაეხვევა,—ამ სცენაში კვლავ თავი იჩინა უშუალობამ, სიმართლით განცდის მომხიბვლელმა ძალამ და მსახიობი კვლავ ერთსულოვანი ტაშით იქნა დაჯილდოებული. სარდლის მისაღებ ოთახში მან კარგად ჩაატარა შეცდომის აღიარების ამაღელვებელი სცენა და გამარჯვებით გაიტანა თავი საფინალო სურათში. ბ. ზაქარიაძე ბევრის აღმთქმელი მსახიობია, მაგრამ ეს წარმატება დიდი თეატრის სცენაზე მისთვის არ უნდა იქნეს თავბრუდამხვევი.

ცოცხლად და დამაჯერებლად განსახიერების სრული ძალა გვიჩვენა გ. სალარაძემ (ხოჯიჩი) და დიდი გამარჯვებაც ხვდა წილად. მის მიერ განსახიერებულის მხედრული წარმოსადეგობა, ყოველი დეტალის გულმოდგინე დამუშავებით მოპოვებული ბრწყინვალება, ყავახანის სცენაში გარეგნულ ეფექტებზე უარის თქმა და შინაგანი განცდის სრული სიცხოველით გადმოცემა ამ მსახიობის არტისტულ ნიჭსა და მზარდ ოსტატობას მოწმობს.

ამასვე ვერ ვიტყვით ქალის ერთადერთი მნიშვნელოვანი როლის შემსრულებლის მ. ჯაჯანაშვილის შესახებ. მართალია, ეს როლი მკრთალად არის ნაჩვენები პიესაში, მაგრამ მით უფრო მართებდათ დამდგმელსა და მსახიობს ეს ნაკლი შეევსოთ და პიესის ინტრიგის განვითარებისათვის მეტად საჭირო პერსონაჟი როგორმე გაეცოცხლებინათ. ამისათვის კი მ. ჯაჯანაშვილის მხოლოდმხოლოდ მკაფიო მეტყველება საკმარისი არ აღმოჩნდა.

ა. აფხაიძის ეპიზოდური შკურო იმდენად ცოცხლად არის დახასიათებული, რომ კარგად შესრულებული დიდი როლის ფასად ღირს. ვლ. ადამიძე (მეორე პოლკოვნიკი) თითქმის უსიტყვო როლში ყურადღებას იქცევს ცოცხალი წარმომსახველობით. ამას ვერ ვიტყვით დ. გაგუასა და განსაკუთრებით უ. სამხარაძის შესახებ, რომელნიც გენერლების როლში თამაშობდნენ. უ. სამხარაძეს დიდი მუშაობა მართებს, რომ მეტყველება გაისწოროს.

სტ. ჯაფარიძე (ბობროვი), ბ. აბულაძე (გენერალი), შ. აბესაძე (ექიმი), გ. ბეჟუაშვილი (პირველი პოლკოვნიკი), ო. დოლიძე (ბოშა ქალი) თავის შესაძლებლობაზე ნაკლები ძალით თამაშობდნენ. აღსანიშნავი არიან რ. ბერიძე (ბოშა ქალი) და ა. კუპრაშვილი (სანიტარი), რომელთაც ბევრი სიხალისე და სილამაზე შემატეს სპექტაკლს.

სპექტაკლში განსაკუთრებული იერით გამოჩნდნენ და პიესის მთავარ მოქმედ ძალად იქცნენ ო. დუნდიჩის განუყრელი მეგობრები-ვაჟკაცები პალიჩი, მირკო, რაშევიჩი და დრაგიჩი. ამ ოთხი ძმობილის როლებს დიდი ექსპრესიით და თანაშეწყობით ანსახიერებენ ახალგაზრდა მსახიობები ვ. დოლიძე, გ. კინაძე, ლ. ზაუტაშვილი და თ. ტატიშვილი.

სპექტაკლს ამშვენებს და აკეთილხმოვანებს სცენები ყავახანაში. ამ სცენების ანსამბლური შესრულებით დამდგმელთან ერთად თავი ისახელეს რ. ბერიძემ, მ. თბილელმა, ნ. ჩხეიძემ, ა. სიხარულიძემ, ლ. ფოჩხუამ, ბ. ნიკოლაიშვილმა, ბ. წულაძემ. გ. ვახაძემ. ხ. ხარაზიშვილმა, ა. ტურიაშვილმა.

ეს სპექტაკლი მასობრივი სცენების წარმოდგენაა და ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მცირე და უსიტყვო როლების შემსრულებელთ. ახალგაზრდა მსახიობებმა მწყობრად და ლამაზად ჩაატარეს რთული ანსამბლური სცენები. სულ სხვადასხვა ხასიათის სამი ეპიზოდური როლის შესრულებით თავი იჩინა ნოდარ ჩხეიძის ნიჭმა.

დეკორატიული გაფორმებიდან მხოლოდ ყავახანის სცენა გამოხატავდა ი. გამრეკელის ოსტატობის ძალას. კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძის მუსიკალური ტექსტი, მცოდნეთა აზრით, საუკეთესო იყო.

**დ. ჯანელიძე**

## პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. აკაკი კონსტანტინეს-ძე ბრეგაძეს 3 დღის ვადაში გამოცხადდეს რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ნ. ბიბილეიშვილთან.

## კინოებში

რუსთაველის სახ.—„ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“, ოქტომბერი—„საბრძოლო კინოკრებული № 12“, დამკვრელი—„ახალი ცხოვრებისაკენ“, კომკავშირელი—„რუსლან და ლიუდმილა“, სპარტაკი—„კორზინკინას თავგადასავალი“, ლუქსემბურგის სახ.—„ვოლგა-ვოლგა“, 26 კომ. სახ.—„აიგიულ“, კომინტერნი—„საბრძოლო კინოკრებული № 11“.

## თეატრებში

**18 ნოემბერს:** სახოპერა—„რიგოლეტო“. რუსთაველის სახელობის—„დავა“. მარჯანიშვილის სახელობის—„ხანუმა“. გრიბოედოვის სახელობის — „ფელდმარშალი კუტუზოვი“. სომხური თეატრი—„აღმოსავლეთის დანტისტი“. ახუნდოვის სახელობის—„ჰაჯი ყარა“. მუსიკალური კომედიის — „არშინ-მალ-ალან“. მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „შურისძიება“. მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი—„მშვენიერი ვასილისა და ივანუშკა“. მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი—„ბედნიერება“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**


**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**აცხადებს,** რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 28 ნოემბერს, დღის 4 საათზე (მთავარი შენობა მარის ქ. № 1, აუდ. № 86) დოცენტი **ანა ილიას-ასული ჩხეიძე** დაიცავს დისერტაციას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„კრილოვი ქართულ ლიტერატურაში“.**

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **თ. ბეგიაშვილი,** ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ვ. ს. შადური.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო**
**უნივერსიტეტის რექტორი დ. უიფშიძე.**


მეუღლე პაშა შოთაძე-იმედაშვილისა იუწყება, რომ 15/XI, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია სახალხო არტისტის

**ალექსანდრე სოლომონის-ძე იმედაშვილის**

სამოქ. პანაშვიდი. 1447

თბილისის პირველი საბავშვო ბაღის, სათამაშოების ლაბორატორიის და მუზეუმის თანამშრომლები იუწყებიან მასწავლებელ ნინო ფარცხალაძის ძმისწულის **თინა ნიკოლოზის-ასულ ფარცხალაძის** გარდაცვალებას, დაკრძალვა ქ. წულუკიძეში 14/XI. 1443

საქბოსტანჯიშთესლის რესპუბლიკური კანტორისა და თბილისის ბაზის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ამავე კანტორის მთავარი აგრონომ პ გელიაშვილის მამის

**აბრამის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. მეჯვრისხევში 12/XI. 1444

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კლინიკის ექიმები იუწყებიან პროფესორ ნ. ანდრიაძის დედის

**დესპინე ბესარიონის-ასულ ანდრიაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში.

მშობლები გალინა და კოლია ფარცხალაძეები, და ქეთო, ბაბუა კონსტანტინე, ბიძა გიორგი ცოლშვილით, მამიდები მარო, ნინო, საშა ქმარშვილით იუწყებიან **თინა ნიკოლოზის-ასულ ფარცხალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14/XI ქ. წულუკიძეში, ჯაფარიძის ქ. № 1. 1440

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები იუწყებიან ამავე ინსტიტუტის მესამე კურსის ფრიადოსანი სტუდენტის **თინა ნიკოლოზის-ასულ ფარცხალაძის** გარდაცვალებას. 1446

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება, რომ 15/XI, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **გრიგოლ (გრიშა) მიხეილის-ძე ბაბუნიას** სამოქ. პანაშვიდი. 1442

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი ლენინის ქ. № 28.
უე 9837